

საქართველოში ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული ბარიერები, დაცვის საშუალებები და კარგი პრაქტიკა



მომზადებულია პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩოს პროექტის ფარგლებში „ქალებისთვის მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში“, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და რესპუბლიკა და უკრაინა

Partnership for Good Governance პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ევროპის საბჭო

**საქართველოში
ქალებისთვის
მართლმსაჯულების
ხელმისაწვდომობის
თვალსაზრისით
არსებული ბარიერები,
დაცვის საშუალებები და
კარგი პრაქტიკა**

*მომზადებულია პროგრამული
თანამშრომლობის ჩარჩოს
პროექტის ფარგლებში
„ქალებისთვის მართლმსაჯულებისადმი
ხელმისაწვდომობის
გაუმჯობესება აღმოსავლეთ
პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში“,
სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო,
მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა*

წინამდებარე კვლევა „საქართველოში ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, ბარიერები, დაცვის საშუალებები და კარგი პრაქტიკა“ მომზადებულია ბაბუცა პატარაიას მიერ. მოცემულ ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს ავტორის პასუხისმგებლობას, და არ უნდა იყოს მიჩნეული, როგორც ევროპის საბჭოს, ან ევროპის კავშირის ოფიციალური პოლიტიკის ფარგლებში არსებული მოსაზრებები. წინამდებარე დოკუმენტში ასახული ინფორმაცია მოიცავს 2017 წლის თებერვლის მდგომარეობით არსებულ ვითარებას

ყველა თხოვნა დოკუმენტის რეპროდუცირების ან თარგმნის შესახებ უნდა წარედგინოს კომუნიკაციის საკითხების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int). წინამდებარე პუბლიკაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა კორექტირება უნდა გაეგზავნოს დემოკრატიის გენერალური დირექტორატის თანასწორობის დანაყოფს.

წინამდებარე კვლევა მომზადებულია გენდერული თანასწორობის დანაყოფის თხოვნით, დემოკრატიის გენერალური დირექტორატი, ევროპის საბჭო, და დაფინანსებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ.

თავფურცელი და დიზაინი:

დოკუმენტებისა და პუბლიკაციების განყოფილება (SPDP), ევროპის საბჭო

© ევროპის საბჭომ 2017 წლის აგვისტო, დაბეჭდილია ევროპის საბჭოს მიერ

სარჩევი

ზოგადი შესავალი ხუთი ეროვნული კვლევისადმი	5
საქართველო	10
1. მოკლე შეჯამება	10
მეთოდოლოგია	10
შესავალი	10
ფონური ვითარების მიმოხილვა	10
ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნების მოკლე მიმოხილვა	12
საქართველოში გენდერული დისკრიმინაციის კონცეპციების მოკლე მიმოხილვა	13
2. გენდერული ხარვეზები და მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა	15
ეროვნული სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს მიმოხილვა	15
კანონმდებლობის აღსრულების პრაქტიკისა და მექანიზმების ანალიზი	21
სოციო-ეკონომიკური და კულტურული ბარიერები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობაზე	25
ქალთა საზოგადოებაში, ეკონომიკასა და პოლიტიკაში მდგომარეობასთან დაკავშირებული სტატისტიკის მოკლე მიმოხილვა	27
3. მართლმსაჯულების სისტემის გენდერულ ასპექტზე რეაგირება	29
იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა	29
სასამართლოების ხელმისაწვდომობა	32
ქალების სასამართლოსთვის მიმართვა	33
სამართალდამცავი და სასამართლო სისტემისადმი ნდობის ნაკლებობა	33
ქალები სასამართლო სისტემაში	34
გენდერული მიკერძოებულობა იურიდიულ პროფესიაში	34
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქალების უფლებების სწავლება	35
გენდერულ საკითხებზე ტრენინგი სამართლის სფეროს სპეციალისტებისთვის	36
4. სამართლებრივი დაცვის საშუალებები, კარგი პრაქტიკა და რეკომენდაციები	37
ეროვნულ დონეზე არსებული კარგი პრაქტიკა ქალთა მართლმსაჯულებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სფეროში	37
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი	38
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ოჯახში ძალადობის დანაშაულის ტიპოლოგიის ასახვა	38
იურიდიული დახმარების რეფორმა	38
ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები	38
ბიბლიოგრაფია	39

ზოგადი შესავალი ხუთი ეროვნული კვლევისადმი

მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა წარმართული გენდერული თანასწორობის სტანდარტების გაძლიერებაზე როგორც ევროპის საბჭოს დონეზე, ასევე მისი წევრი სახელმწიფოების დონეზე. ოთხი „ფუნდამენტური“ ხელშეკრულება განსაზღვრავს ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტანდარტებს. ეს შემდეგი ძირითადი ხელშეკრულებებია: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპის სოციალური ქარტია (გადასინჯული), და ორი “ახალი თაობის” ხელშეკრულება, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია,¹ და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)². 1970-იანი წლებიდან მოყოლებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა გენდერული თანასწორობის საკითხზე მთელი რიგი რეკომენდაციები მიიღო³.

ევროპის საბჭოს პირველი გენდერული თანასწორობის სტრატეგიაში 2014-2017⁴ ასახულია ამ სტანდარტების განხორციელების სტრატეგიულ ჩარჩო, რათა წევრმა სახელმწიფოებმა შეძლონ *de facto* გენდერულ თანასწორობასთან მიახლოება. ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ხუთი ამოცანიდან ერთ-ერთი ამოცანა ითვალისწინებს წევრ სახელმწიფოებთან მუშაობას მართლმსაჯულებისადმი ქალთა თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. სტრატეგია განსაზღვრავს ამ სფეროში განსახორციელებელ ქმედებებს და მიზნად ისახავს: ეროვნული და საერთაშორისო ჩარჩოების გაანალიზებას მონაცემთა შეგროვებისა და იმ დაბრკოლებების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც ქალებს ექმნებათ ეროვნული სასამართლოებსა და საერთაშორისო სასამართლოების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით; სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებებისა და კარგი პრაქტიკის იდენტიფიცირებას და გამოცდილების გაზიარებას ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით; და სიტუაციის გაუმჯობესებაზე მიმართული რეკომენდაციების შემუშავებას.

რეგიონალური პროექტი ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა) ხელს მიზნად ისახავს ზოგადად გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განხორციელების და, კერძოდ კი, მე-3 სტრატეგიული მიზნის განხორციელების ხელშეწყობას, რომელიც მიმართულია ქალთა მართლმსაჯულებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. პროექტი დაფინანსებულია ევროპის საბჭოს/ევროპის კავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამული თანამშრომლობის ფარგლებში (PCF, 2015-2017),⁵ და მას ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის განყოფილება ახორციელებს.

პროექტის ძირითადი მიზნებია:

- ▶ ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირება;
- ▶ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობების გაძლიერება მართლმსაჯულების სისტემის გენდერ-სენსიტიური რეაგირების უზრუნველყოფისთვის საჭირო ზომების შემუშავების მიზნით, მათ შორის იურიდიული სფეროს პროფესიონალების სწავლების გზით.

1 ძალაში შევიდა 2008 წლის 1 თებერვალს.

2 ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტო.

3 იხილეთ საცნობარო ფურცელი ევროპის საბჭოს ძირითადი სტანდარტების შესახებ გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168058feef>, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

4 ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680590174>, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

5 იხილეთ: <http://pjp-eu.coe.int/en/web/eap-pcf/home?desktop=true>, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

მიუხედავად იმისა, რომ ცოდნის დონე გაიზარდა, ჯერ კიდევ არსებობს სისტემური ხარვეზები ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის სხვადასხვა ასპექტების შესახებ მონაცემების შეგროვებაში. პროექტების ბენეფიციარ ქვეყნებში არსებული ამ ხარვეზების გამოსწორების მიზნით, ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის განყოფილების ინიციატივით განხორციელდა ხუთი ეროვნული კვლევა ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაში არსებული ბარიერების, სამართლებრივი დაცვის საშუალებებისა და კარგი პრაქტიკის გამოვლენის მიზნით სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვის რესპუბლიკასა და უკრაინაში. ყველა ზემოთხსენებული კვლევა მიზნად ისახავდა შემდეგს:

- ▶ ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული ძირითადი სამართლებრივი და პროცედურული, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაბრკოლებების ანალიზი;
- ▶ რეკომენდაციების პაკეტის შემუშავება შესაბამის ქვეყნებში ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის, კარგი პრაქტიკის მაგალითების მოყვანა, თუ ასეთი არსებობს;
- ▶ იურიდიული სფეროს პროფესიონალებისთვის (მოსამართლეები, პროკურორები, იურისტები და შესაძლოა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები) ტრენინგის ორგანიზებასთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაციის მიწოდება.
- ▶ კვლევები მოამზადა ხუთმა დამოუკიდებელმა ეროვნულმა ექსპერტმა, რომლებსაც ეთხოვათ პასუხის გაცემა შემდეგ კითხვებზე:
- ▶ რა ხარვეზები არსებობს გენდერული თვალსაზრისით თქვენს ქვეყანაში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაში?
- ▶ რამდენად რეაგირებს ქალთა საჭიროებებზე მართლმსაჯულების სისტემა?
- ▶ რა შეიძლება გაკეთდეს მართლმსაჯულების სისტემის გენდერულ ასპექტებზე რეაგირების გასაუმჯობესებლად?

ზემოთხსენებული ხუთი კვლევის სტრუქტურა ანალოგიურია, და ისინი მსგავს თემებს და საკითხებს შეეხებიან. ყველა კვლევის პირველი ნაწილი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაში არსებულ გენდერულ ხარვეზებს შეეხება, და ამ ნაწილში გაანალიზებულია საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოები, ასევე განხორციელების პრაქტიკა და მექანიზმები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობაზე. ამ ნაწილში ასევე განხილულია ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ბარიერები. ყველა კვლევის მეორე ნაწილში განხილულია შესაბამის ქვეყანაში მართლმსაჯულების სისტემის რეაგირება გენდერულ საკითხებზე. ხუთივე კვლევაში შემდეგი საკითხებია გაანალიზებული: ქალთა სასამართლოებისადმი ხელმისაწვდომობა; არსებობს თუ არა იმ პირების სქესის მიხედვით დესაგრეგირებული მონაცემები, რომლებმაც სასამართლოს მიმართეს; გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც იურიდიული სფეროს წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი მოსამართლეებს შორისაა გავრცელებული; და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ტრენინგების ხელმისაწვდომობა იურიდიული სფეროს პროფესიონალების თავდაპირველ, და შემდგომი განათლების ეტაპებზე. ყოველი კვლევის მესამე ნაწილში განხილულია სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომი საშუალებები და კარგი პრაქტიკა, და შემოთავაზებულია მთელი რიგი რეკომენდაციები. ამ ზოგადი თემებისა და საკითხების განხილვასთან ერთად, სადაც ეს შესაბამისი და შესაძლებელი იყო, ყურადღება დაეთმო ისეთი მონაცემები ჯგუფების წინაშე არსებულ გამოწვევებს, როგორცაა რეგიონებში მცხოვრები ქალები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები; ხანდაზმული ქალები; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები; ძალადობის მსხვერპლი ქალები; ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ქალები; და პატიმრობაში მყოფი ქალები.

ხუთ ქვეყანაში ჩატარებული კვლევა ძირითადად სამაგიდე კვლევის გზით ჩატარდა, და ეროვნულმა კონსულტანტებმა მაქსიმალურად დეტალურად შეისწავლეს არსებული წყაროები. სომხეთსა და აზერბაიჯანში კონსულტანტებმა შეზღუდული რაოდენობის ინტერვიუები ჩაატარეს იურისტებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკაში კონსულტანტები ასევე ითხოვდნენ ოფიციალურ მონაცემებს სხვადასხვა დანესებულებისგან. უკრაინაში ეროვნულმა კონსულტანტმა მოსამართლეების მცირე კვლევა ჩაატარა წინასწარ მომზადებული კითხვარის საფუძველზე. ხუთივე კვლევის ფარგლებში მომზადებული პირველადი დასკვნები წარმოდგენილი იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხებისადმი

დათმობილ რეგიონალურ კონფერენციაზე, რომელიც 2015 წლის 5-6 ნოემბერს ჩატარდა ყვარელში. კვლევაში ინტეგრირებული იყო ამ კონფერენციის მსვლელობისას სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლების, აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და ინფორმაციული უკუკვება. თითოეულმა კონსულტანტმა ქვეყნის კვლევის შედეგები 2016 წლის პირველ თვეებში ეროვნული აუდიტორიის წინაშე წარადგინა. კვლევების პრეზენტაციისადმი დათმობილი შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციული უკუკვება და კომენტარები ასევე გათვალისწინებული იქნა კვლევის საბოლოო ვერსიაში.

კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ კვლავ მნიშვნელოვანი ხარვეზები რჩება ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ხელშესახები წინსვლა იქნა მიღწეული კანონმდებლობის მიღებისა და პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით.

სამართლებრივ და პოლიტიკის ჩარჩოებთან მიმართებაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიიღეს კანონმდებლობის მიღებისა და გენდერული თანასწორობის დაცვის პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით. ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის გარანტიები თითოეული მონაწილე ქვეყნის კონსტიტუციაში, მათ შორის ახლახან სომხეთის კონსტიტუციაშიც იქნა ასახული. ხუთივე ქვეყანას გენდერული თანასწორობის შესახებ ცალკე კანონები აქვთ, კერძოდ, ამერბაიჯანმა ეს კანონი 2006 წელს მიიღო, სომხეთმა 2011 წელს, საქართველომ 2010 წელს, მოლდოვას რესპუბლიკამ 2006 წელს, ხოლო უკრაინამ კი 2005 წელს. სპეციალური ანტიდისკრიმინაციული კანონები იქნა მიღებული 2014 წელს საქართველოში, 2012 წელს მოლდოვას რესპუბლიკაში და 2012 წელს უკრაინაში. ამერბაიჯანში ცალკე ანტიდისკრიმინაციული კანონი არ არსებობს, თუმცა 2010 წელს მიღებული იქნა ცალკე კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ. გარდა ამისა, საქართველომ, მოლდოვას რესპუბლიკამ და უკრაინამ მიიღო ცალკე კანონები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (შესაბამისად, 2006, 2007 და 2001 წლებში). სომხეთი ამჟამად ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობას და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ კანონს ამზადებს.

2017 წლის თებერვლის მდგომარეობით, სამმა ბენეფიციარმა ქვეყანამ, კერძოდ, საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ, ხელი მოაწერეს სტამბულის კონვენციას და უახლოეს პერიოდში მის რატიფიკაციას მოახდენენ. დანარჩენ ორ ქვეყანას ჯერ არ მოუწერია ხელი სტამბულის კონვენციაზე.

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პროგრესის მიუხედავად, ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ბარიერები კვლავაც არსებობს. სპეციფიკურ ბარიერებს მიეკუთვნება *de jure* ქალთა დისკრიმინაცია, ან ანტიდისკრიმინაციულ საკანონმდებლო ჩარჩოში არსებული ხარვეზები. ნაციონალურ კვლევებში მოცემულია ხუთ ქვეყანაში პროტექციონისტული შრომითი კანონმდებლობის დისკრიმინაციული ეფექტის მრავალი მაგალითი. შრომითი კანონმდებლობის სფეროში კიდევ უფრო მეტი ბარიერი გამოვლინდა, როგორცაა ორსული ქალების უკანონო გათავისუფლება, ან მამისთვის მშობლების შვებულებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.

განხორციელების პრაქტიკისა და მექანიზმების თვალსაზრისით, კვლევებმა დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობა გენდერულ თანასწორობას ადგენს, ქალები იშვიათად მიუთითებენ ამ კანონებზე თავისი უფლებების სასამართლო წესით დაცვის პროცესში. ირიბი დისკრიმინაციის დასამტკიცებლად აუცილებელი მტკიცების სტანდარტები და სამართლებრივი დაცვის მექანიზმები არ არის კარგად განვითარებული, მაშინ როდესაც სავარაუდოდ, ეს გენდერული უთანასწორობის ყველაზე უფრო გავრცელებული გამოვლინებაა. ყველა ქვეყანაში, სადაც კვლევა ჩატარდა, გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ხარვეზები კვლავ რჩება, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ქალების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის კრიმინალიზაცია არ არის უზრუნველყოფილი; ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გაცხადების უალრესად დაბალი მაჩვენებელია; გაუპატიურების შემთხვევებში დამნაშავეს მსჯავრდების ძალიან მცირე რაოდენობის შემთხვევებია; და დაზარალებულების მხარდაჭერის სერვისებისთვის ძალიან მწირი სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფა ხდება, ან სახელმწიფოს მხრიდან ამ სერვისების დაფინანსება საერთოდ არ ხდება.

კვლევებმა ასევე გამოავლინა ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ბარიერები. მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ქალთა ეკონომიკური დამოკიდებულება, ან ქალსა და მამაკაცს შორის არსებული ეკონომიკური უთანასწორობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ნაკლებად მიუწვდებათ ხელი რესურსებზე, რაც ხშირად საჭიროა სამართალწარმოების წამოსაწყებად.

გარდა იმისა, რომ ქალების დასაქმების მაჩვენებლები და ბიზნეს სექტორში მონაწილეობა, თანამშრომლების ან მენარმეების სახით, მნიშვნელოვნად დაბალია, ხუთივე ქვეყანაში გამოვლინდა, რომ გენდერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს ანაზღაურებასა და შემოსავალში. მეორე რაც აღსანიშნავია, კვლავაც მძლავრად აფესვგადგმული პატრიარქალური დამოკიდებულება და შეხედულებები იმის თაობაზე, რომ მამაკაცი ქალზე უპირატესია, და რომ გენდერული სეგრეგაცია მისაღები მოვლენაა, რომ ქალების როლია ოჯახზე ზრუნვა, ხოლო მამაკაცი კი ოჯახის მარჩენალი უნდა იყოს. წარმოდგენა, რომ მამაკაცი ქალზე უპირატესია, საფუძვლად უდევს გენდერული ნიშნით მშობლების მიერ ბავშვის სქესის შერჩევას და იძულებითი შერჩევითი აბორტების პრაქტიკას, რაც ნათელი ხდება სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ჩატარებული კვლევებიდან, რაც იწვევს სქესთა თანაფარდობის დარღვევას მამაკაცების სასარგებლოდ, და წარმოადგენს ქალთა უფლებების უხემ დარღვევას. ხუთ საკვლევ ქვეყანაში იგივე გენდერულად მიკერძოებული დამოკიდებულებები განაპირობებენ მაღალ სოციალურ ტოლერანტობას ოჯახში ძალადობისადმი, ან მის გამართლებასაც კი. მესამე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ქალებისთვის.

კვლევები ხუთ ქვეყანაში მართლმსაჯულების სისტემის გენდერულ საკითხებზე არასაკმარისი რეაგირების უამრავ მაგალითებს შეიცავენ. სასამართლო გადაწყვეტილებებში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების შემთხვევები ძალიან იშვიათია. ზოგიერთ ქვეყანაში ქალები სასამართლო სისტემაში არ არიან საკმარისად წარმოდგენილი. გენდერული სტერეოტიპები კვლავაც ძლიერადაა ფესვგადგმული მართლმსაჯულების სისტემაში, და ისინი კიდევ უფრო მწვავედ იჩენენ თავს ისეთ სხვა სტერეოტიპებთან ერთობლიობაში, რომლებიც დაკავშირებული არიან ასაკთან, ეთნიკურ ან სოციალურ სტატუსთან. ეროვნულ კვლევებში ასახულია ისეთი სტერეოტიპების მაგალითები, რომლებიც განსაკუთრებით მძიმედ აისახება ქალებზე, რომლებიც გენდერულ ძალადობას განიცდიან.

კვლევებში ასევე წარმოდგენილია კარგი პრაქტიკის მრავალი მაგალითი. სომხეთში 2015 წელს სასამართლო სისტემაში გენდერული თანასწორობისა და გენდერული ბალანსის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა იქნა მიღებული სასამართლო თვითმმართველობის ორგანოს მიერ (სასამართლოს თავმჯდომარეების სომხეთის საბჭო). სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა გენდერული თანასწორობის სასწავლო მასალებისა და თემატური სასწავლო პროგრამების შემუშავება. საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული თანასწორობის ორგანოები სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ მექანიზმებს სთავაზობენ. 2013 წლიდან მოყოლებული, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში შეიქმნა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც მონიტორინგს უწევს გენდერული კანონმდებლობისა და პოლიტიკის განხორციელებას, და განიხილავს საჩივრებსა და ინდივიდუალურ საჩივრებს, რომლებიც დაკავშირებულია სქესისა და გენდერის ნიშნით ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან. იგი ასევე ატარებს ტრენინგებს, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ ღონისძიებებს, აგროვებს მონაცემებს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე მიმართული დაცვის მექანიზმების ეფექტურობის მონიტორინგის მიზნით, და აშბადებს წლიურ ანგარიშებს. აზერბაიჯანში კანონი ითვალისწინებს რაიონებში მცხოვრებ ქალთა საჭიროებებს დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებით. სოფლის მეურნეობის სექტორში მომუშავე ქალებს უფრო ხანგრძლივი სადეკრეტო შვებულების უფლება აქვთ: ბავშვის დაბადების თარიღიდან 70 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო რამდენიმე ბავშვის გაჩენის შემთხვევაში, მათი დაბადებიდან 110 კალენდარული დღის განმავლობაში. მოლდოვას რესპუბლიკაში 2013 წელს თანასწორობის საბჭომ ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალური საჩივრების განხილვაზე, მათ შორის, სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების შესწავლაზე. იგი ასევე განიხილავს კანონპროექტების შესაბამისობას დისკრიმინაციის დაუშვებლობის მოთხოვნებთან, და ატარებს დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ ღონისძიებებს. უკრაინის ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც 2015-2020 წლების პერიოდს მოიცავს, წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკის პოზიტიურ მაგალითს, რომელიც მთელ რიგ დებულებებს შეიცავს გენდერული თანასწორობის საკითხებზე, რაც სრულ შესაბამისობაშია ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებთან. რიგი სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივები, როგორცაა ქალთა ვირტუალური იურიდიული დახმარების სამსახური, რომელიც უკრაინის ქალთა კონსორციუმის მიერ შეიქმნა, ასევე ქალთა ორგანიზაციების მიერ გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის შეთავაზებული სპეციალიზირებული სერვისები, ადასტურებენ, რომ სამოქალაქო საზოგადოების

ორგანიზაციებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი რესურსი ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით.

მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვის განუყოფელი ნაწილია. ეს ასევე სოციალური ინკლუზიის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, და კარგად ფუნქციონირებადი დემოკრატიის კრიტიკული ელემენტია. თანასწორობის მოთხოვნა, მათ შორის გენდერული თანასწორობისა, არის მართლმსაჯულების უფლებით სარგებლობის ფუნდამენტური ასპექტი. იმედი გვაქვს, რომ ეს ხუთი ეროვნული კვლევა ხელს შეუწყობს ინსტრუმენტების შემდგომ განვითარებას მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ეროვნული კვლევების ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნება მოსამართლეთა და პროკურორებისთვის განკუთვნილი ტრენინგის სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში, რომელიც ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფის საკითხს მიეძღვნება, და გამოყენებული იქნება პროექტის ხუთი ბენეფიციარი ქვეყნის მოსამართლეთა სწავლების ინსტიტუტების მიერ.

საქართველო

ბაბუცა პატარაიას მიერ მომზადებული ანგარიში

1. მოკლე შეჯამება

წინამდებარე კვლევაში განხილულია საქართველოში ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხი. კვლევაში მიმოხილულია საქართველოს კანონმდებლობა, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, კულტურული კონტექსტი და გენდერსა და სქესთან დაკავშირებული კონკრეტული სამართლებრივი ასპექტები. კვლევაში ასევე განხილულია კანონების აღსრულების მექანიზმები და იდენტიფიცირებულია არსებული ხარვეზები. გარდა ამისა, კვლევაში ასახულია მართლმსაჯულების სისტემის ძირითადი ორგანოების მიმოხილვა და მათი შეაფასება. სახელმწიფო პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით, კვლევაში ყურადღება გამახვილებულია არსებულ ბარიერებსა და კარგ პრაქტიკაზე. გარდა ამისა, ადგილობრივი კონტექსტის უკეთ გაცნობიერების მიზნით, კვლევა გვთავაზობს შესწავლილი მასალების მიმოხილვას, მათ შორის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგებს, სადაც ასახულია ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სპეციფიკა. კვლევის დასკვნით ნაწილში მოცემულია მთელი რიგი რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობაზე, რათა იგი უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ქალებისათვის.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ეფუძნება ხარისხობრივი და შედარებითი კვლევის მეთოდოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევითი ნაშრომების მიმოხილვასა და ანალიზს. იგი ასევე შეიცავს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც მიღებული იქნა ოფიციალური კორესპონდენციისა და ინტერვიუების მეშვეობით, და ასევე შესაბამისი საკანონმდებლო და პოლიტიკური დოკუმენტების ანალიზს.

შესავალი

ფონური ვითარების მიმოხილვა

საქართველომ, როგორც განვითარებადმა დემოკრატია, 1991 წელს საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მნიშვნელოვანი რეფორმები გაიარა. 2003 წლის ვარდების რევოლუცია საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, მათ შორის გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების თვალსაზრისით, და ამ პერიოდიდან მოყოლებული ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში. რეფორმები მიზნად ისახავდა არა მარტო სტრუქტურული ცვლილებების გატარებას, არამედ ასევე კომუნისტური ეპოქისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტის გარდაქმნას და უფრო ლიბერალური დასავლური მიდგომების და ღირებულებების დამკვიდრებას. გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, განხორციელებული რეფორმები უნიკალურია ინოვაციების დანერგვის სიჩქარისა და ხარისხის თვალსაზრისით, და ინსტიტუციონალური რესტრუქტურირების მასშტაბით (მსოფლიო ბანკი 2009). მიუხედავად

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმებისა, ზოგიერთი ბარიერი და გამოწვევები კვლავ რჩება ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ეს ბარიერებია ქალთა ეკონომიკური დამოკიდებულება; კულტურული ბარიერები და ტრადიციული პრაქტიკა; ძალადობის შემთხვევების გაცხადებლობა სირცხვილის განცდის, და შურისძიების და სოციალური უარყოფის შიშის გამო; ინფორმირებულობის ნაკლებობა ქალთა უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების თაობაზე; გენდერული სტერეოტიპები; დისკრიმინაციის მრავალრიცხოვანი ფორმები, ზოგიერთ შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების, ხანდაზმული ქალებისა და იძულებით გადაადგილებული ქალების მიმართ.

2016 წლის გლობალური გენდერული განსხვავების ინდექსის მიხედვით (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი 2016), 144 ქვეყანას შორის საქართველო 90-ე ადგილზე აღმოჩნდა. ქალთა მიმართ ძალადობა კვლავაც ფართოდაა გავრცელებული, და ეს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა. ძალადობის ფაქტების გაცხადების შედარებით დაბალი მაჩვენებელი იმითაა განპირობებული, რომ ქალების აზრით ოჯახში ძალადობა პირადი საქმეა, როგორც გაეროს განვითარების პროგრამის მიერ 2010 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ქალთა 78 პროცენტმა განაცხადა. ამ კვლევის შესაბამისად ასევე გამოვლინდა, რომ ქალების მხოლოდ 6.9% აღიარებდა, რომ ისინი ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არიან (UNDP 2010: 7). ეს ციფრები არ არის უჩვეულო, თუ მათ სხვა ევროპულ ქვეყნებში არსებულ მაჩვენებლებს შევადარებთ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საზოგადოებაში ძალადობა იმდენად სტიგმატიზირებულია და დაკავშირებულია სირცხვილის განცდასთან, რასაც ქვემოთ განხილული დამოკიდებულებების შესწავლაზე მიმართული კვლევები ადასტურებენ, რომ ხშირ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლებს ურჩევნიათ არ გამოამჟღავნონ ასეთი ფაქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსხვერპლს გრძელვადიანი და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები აქვს მხარდაჭერის სფეროს პროფესიონალთან. გარდა ამისა, როგორც ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა აღინიშნა, ქართველი ქალები ხანდახან «ქალწულობის შემონიშნებას» ექვემდებარებიან მათი პირადი ცხოვრების უფლების დარღვევით (CEDAW 2014: პარაგრაფი 20). ეს პრაქტიკა ადასტურებს, რომ ქართულ საზოგადოებაში კვლავაც დომინირებს ღრმად ფესვგადგმული ტრადიციული და მართლმადიდებლური ქრისტიანული ღირებულებები (UNDP 2010: 15-16).

როგორც ევროპარლამენტის მიერაა აღიარებული, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის ოკუპაციის ქვეშაა (ევროპარლამენტი 2011), რის შედეგადაც საქართველოში 250 000 იძულებით გადაადგილებული პირია, რომლებიც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.⁶ მთლიანი უმუშევრობის დონე მაღალია, და 2013 წლის მდგომარეობით 15%-ს შეადგენდა; ახალგაზრდობის 53% დასაქმებულია ნატურალურ სოფლის მეურნეობაში, რომლის წილი მშპ-ში 10%-ზე ნაკლებს შეადგენს, და ითვლება, რომ მოცემული სექტორი ეკონომიკაში დაბალი ზრდით ხასიათდება.⁷ სიღარიბე საქართველოში სერიოზული გამოწვევაა, მოსახლეობის 32%-ს დღეში 2.5 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავალზე ცხოვრობს.⁸ მართლმსაჯულების სისტემას რამდენიმე ხარვეზი ახასიათებს, მათ შორის პატიმრებისადმი არასათანადო მოპყრობა, კორუფცია, და დამოუკიდებლობის ნაკლებობა. როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ აღინიშნა, ამ მიმართულებით ქვეყანაში რამდენიმე ინიციატივა განხორციელდა, და მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობა თანდათან იზრდება (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2011). ევროპის საბჭოს და საქართველოს მთავრობას შორის მართლმსაჯულების რეფორმის სფეროში თანამშრომლობამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სასამართლო ორგანოებისა და ინსტიტუტების გაძლიერებას და ევროპულ სტანდარტებსა და პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანას.⁹

წინამდებარე კვლევა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვის განუყოფელი ნაწილია. ეს

6 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, დარეგისტრირებული დევნილების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2014 წლის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: <http://mra.gov.ge/eng/static/55>, ბოლო წვდომა 2017 წლის 28 თებერვალს.

7 მსოფლიო ბანკი, სამხრეთ კავკასიაში დასაქმებასთან დაკავშირებული გამოწვევები - საქართველო, 2015, <http://www.worldbank.org/en/news/feature/2015/01/12/the-jobs-challenge-in-the-south-caucasus---georgia>, ბოლო წვდომა 2017 წლის 28 თებერვალს.

8 მსოფლიო ბანკი, საქართველოში სიღარიბის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასება, 2016, ხელმისაწვდომია: <http://www.worldbank.org/en/country/georgia/publication/georgia-poverty-assessment>, ბოლო წვდომა 2017 წლის 28 თებერვალს.

9 იხილეთ, მაგალითად, ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის, 2013-2015, CoE doc ODG/Prog/Inf(2013)15, ხელმისაწვდომია: wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=2102099, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

ასევე სოციალური ინკლუზიის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, და კარგად ფუნქციონირებადი დემოკრატიის კრიტიკული ელემენტია. მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა შეიძლება განმარტებული იქნას როგორც ადამიანების, მათ შორის მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების შესაძლებლობა მიმართონ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, იქნება ეს მართლმსაჯულების ფორმალური თუ არაფორმალური ინსტიტუტები, ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად, და ყოველგვარი სამართლებრივი, პროცედურული, სოციო-ეკონომიკური ან კულტურული ხასიათის დაბრკოლებების გარეშე. თანასწორობის, მათ შორის გენდერული თანასწორობის მოთხოვნა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლების, და ამ უფლებით სარგებლობის ცენტრალური ასპექტია.

ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო ორგანოების დასკვნების მოკლე მიმოხილვა

საქართველო წარმოადგენს იმ საერთაშორისო ინსტრუმენტების მხარე სახელმწიფოს, რომლებიც ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გარანტიას ადგენენ, მათ შორის, გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტი (ICCPR), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICESCR), რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია (ICERD), წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენცია, ბავშვთა უფლებების კონვენცია (CRC) და შემდგომი დამატებითი პროტოკოლები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD).

ევროპულ დონეზე, საქართველო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ევროპის სოციალური ქარტიის და ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ კონვენციის ხელმძღვანელ მხარეს. 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციას (სტამბოლის კონვენცია), მაგრამ წინამდებარე კვლევის მომზადების ეტაპისთვის კონვენციის რატიფიცირება არ მოუხდენია. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონმდებლობის პაკეტი სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებასთან დაკავშირებით, და 2016 წელს საქართველოს მთავრობამ პარლამენტში კონვენციის რატიფიცირების პროცედურა წამოიწყო.

რამდენიმე ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო ორგანომ გაამახვილა ყურადღება იმ ხარვეზებზე, რაც ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის სფეროში არსებობს, კერძოდ:

- ▶ CEDAW-ს კომიტეტის მიერ 2014 წელს შემუშავებულ დასკვნით მოსაზრებებში ყურადღება გამახვილებულია დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და გენდერული თანასწორობის მარეგულირებელი კანონმდებლობის არასათანადო აღსრულებაზე (CEDAW კომიტეტი 2014: პარ. 10); გენდერული პოლიტიკის არასათანადო კოორდინირებაზე (პარ. 14); პატრიარქალურ სტერეოტიპებზე და მედიაში ქალთა გაზრდილ „სექსუალიზაციაზე“ (პარ. 18); ქალთა არასაკმარისი რაოდენობით წარმომადგენლობაზე საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში (პარ. 24); მნიშვნელოვან განსხვავებებზე ხელფასებში (პარ. 28); და ძალადობის მსხვერპლებისთვის ან ბავშვებისთვის რეაბილიტაციის სერვისების არასაკმარის რაოდენობაზე (პარ. 28);
- ▶ 2014 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა შემდეგი შენიშვნები დისკრიმინაციის დაუშვებლობასა და გენდერული თანასწორობის შესახებ: ქალთა მიმართ ძალადობისა და ტრეფიკინგის შემთხვევების აღსრულების მექანიზმის ეფექტიანობის პრობლემა; არასაკმარისი სანქციები დისკრიმინაციის პრევენციისა და აღკვეთის კონტექსტში; (მუხლი 2 და 26); მდებარეობითი სქესის ნაყოფის შემთხვევაში შერჩევითი აბორტების პრაქტიკა (მუხლები 2, 3, 23 და 26); დისკრიმინაცია, სოციალური სტიგმა, სიძულვილის ენის გამოყენება და ლგბტ პირების მიმართ ძალადობის აქტებისა და გამოხატვის თავისუფლებისა და შეკრების თავისუფლების დარღვევა (2, 9, 19, 21 და 26) (ადამიანის უფლებათა კომიტეტი 2014);
- ▶ 2011 წელს უნივერსალურ პერიოდულ მიმოხილვაში (UPR) ხაზგასმით აღინიშნა ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის სფეროებში არსებული შემდეგი პრობლემები: სასამართლო სისტემის სისუსტე (პარ. 41); ოჯახში ძალადობის მაღალი მაჩვენებელი (პარ. 64); სიღარიბის ფემინიზაცია (პარ. 66 და 102), (ადამიანის უფლებათა საბჭო, 2011);

- ▶ 2016 წელს ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებების (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფმა (GRETA)¹⁰ გამოაქვეყნა თავისი დაკვირვებები (GRETA 2016) და ხაზი გაუსვა შემდეგ საკითხებს: შემდგომი ძალისხმევა უნდა იყოს წარმართული გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, გენდერული ნიშნით ძალადობის და სტერეოტიპების აღმოფხვრისა, და ქალთა გაძლიერებაზე მიმართული პოლიტიკის მხარდაჭერაზე, როგორც ადამიანთა უფლებების ძირითადი მიზნების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებაზე (პარაგრაფი 76); ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს ცნობიერების ამაღლება სექსუალური ექსპლუატაციის მიზნებისთვის ადამიანთა უფლებების შესახებ, კერძოდ, ყურადღება გაამახვილოს თბილისში, კერძოდ კი, ტურისტულ ადგილებში, როგორცაა შავი ზღვის სანაპირო, ამ სახის მომსახურებაზე მოთხოვნის არსებობაზე (პარაგრაფი 84); განიხილოს ადამიანებით ვაჭრობის შესაძლო მსხვერპლთა მათი ექსპლუატაციის ადგილებზე გამოკითხვის პრაქტიკის გადასინჯვის მიზანშეწონილობა (პარაგრაფი 107); იმ დაზარალებულთათვის დახმარების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ვინც არ არიან მოთავსებული სახელმწიფო თავშესაფარში, მათ შორის, მათ რეინტეგრაციის ხელშეწყობაზე მიმართული ღონისძიებების გატარების, პროფესიული მომზადებისა და შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით (პარაგრაფი 118); მიიღოს ზომები ტრეფიკინგის მსხვერპლთა კომპენსაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად (პარაგრაფი 153).
- ▶ 2013 წელს წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) ციხეებში ქალთა მდგომარეობასთან დაკავშირებით შემოთქვა გამოთქვა ჰიგიენური პაკეტების უკმარისობასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებისთვის სხვა პირადი ჰიგიენური საშუალებები ხელმისაწვდომია (წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი, 2013 წ. პარაგრაფი 34);
- ▶ 2010 წელს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფმა (GRECO) აღნიშნა, რომ კორუფცია კვლავ პრობლემად რჩება პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის არარსებობის, რეგულაციების არასათანადო აღსრულების, და სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ნაკლებობის გამო (ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი. 2010: პარაგრაფი 78);
- ▶ 2014 წელს ევროსაბჭომ და მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპულმა კომისიამ (CEPEJ) რეკომენდაცია შეიმუშავა, რომლის შესაბამისადაც სპეციალური ღონისძიებები უნდა დაინერგოს მოწყვლადი პირების, მათ შორის, გაუპატიურების მსხვერპლთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის მიზნით (ევროპის საბჭო, მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია, 2012). საქართველოს გააჩნია საინფორმაციო მექანიზმი და გაუპატიურებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის გათვალისწინებული სასამართლო განხილვის სპეციალური რეჟიმი, მაგრამ სხვა სპეციალური ღონისძიებები არ არის გათვალისწინებული. ასეთი საინფორმაციო მექანიზმები და სპეციალური მოსმენა არ არის ხელმისაწვდომი ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ ჯგუფების წარმომადგენელი ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე (CEPEJ 2012: 92). ქალი სასამართლოს თავმჯდომარეების რაოდენობა დაბალია, და პირველი ინსტანციის სასამართლოების დონეზე 24 თავმჯდომარიდან მხოლოდ 2 ქალი თავმჯდომარეა, ხოლო მეორე ინსტანციის დონეზე ქალი თავმჯდომარეები საერთოდ არ არიან (CEPEJ 2012: 329). 2012 წელს მოსამართლეების საერთო რაოდენობაში მამაკაცებისა და ქალთა თანაფარდობა იყო 56.6% მამაკაცი და 43.4% ქალი მოსამართლეები (CEPEJ 2012: 327).

საქართველოში გენდერული დისკრიმინაციის კონცეპციების მოკლე მიმოხილვა

¹⁰ GRETA, ანგარიში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის საქართველოს მიერ განხორციელების შესახებ, მეორე შეფასების რაუნდი, GRETA (2016)8, 2016 წლის 3 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168065bf89>, ბოლო წვდომა 2017 წლის 28 თებერვალს.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქართველომ შეიმუშავა გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის შესახებ კანონმდებლობა. ასევე, მიღებული იქნა შესაბამისი განსაზღვრებები. 2010 წელს საქართველოს პარლამენტმა «გენდერული თანასწორობის შესახებ» კანონი მიიღო. კანონი გენდერს განსაზღვრავს როგორც „სქესთა შორის ურთიერთობის სოციალურ ასპექტს, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე“. კანონი ასევე გენდერულ თანასწორობას განსაზღვრავს, როგორც „ადამიანის უფლებათა ნაწილს, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში»¹¹.

2014 წელს საქართველომ მიიღო კანონი «დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ», რომელიც შეიცავს პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის განსაზღვრებებს. პირდაპირი დისკრიმინაციის განსაზღვრება ნაწილობრივ ემთხვევა ირიბი დისკრიმინაციის განსაზღვრებას. კერძოდ, იგი შეიცავს შემდეგ ფრაზას: „ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად საქართველოს კანონით განსაზღვრულ მიზანს“. ირიბი დისკრიმინაციის განმარტება შეიცავს იგივე ფრაზას: „ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს“.¹² უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციის აკრძალვა შედიოდა ძირითად კანონებში ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამდე, მაგრამ მათში დისკრიმინაციის განსაზღვრება არ იყო მოცემული.

11 საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 3, ხელმისაწვდომია: hmatsne.gov.ge/ka/document/view/91624?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2018 წლის 28 ნოემბერს.

12 საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 2, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/233968_7?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

2. გენდერული ხარვეზები და მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა

ეროვნული სამართლებრივი და პოლიტიკის ხარისხს მიმოხილვა

კონსტიტუციური სამართალი

ყველა პირის თანასწორობა საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული. კერძოდ, მე-14 მუხლი ადგენს, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.¹³ მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლის ტექსტი შეიცავს დაცული საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამ მუხლის ინტერპრეტაციას ახდენს როგორც არა-ამომწურავი ჩამონათვალის შემცველ მუხლად, და აცხადებს, რომ გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია ასევე დაცულია კონსტიტუციით დისკრიმინაციისგან¹⁴.

კონსტიტუციის მუხლი 30(4) შეეხება შრომის უფლებას, და ადგენს, რომ „შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით“. ეს არის ერთადერთი მუხლი საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც ქალებს ეხება. ეს განცხადება პრობლემურია, რადგან ის სამუშაო პირობების სპეციფიკურ რეგულირებას ითვალისწინებს არა ორსული ქალების ან მეძუძური დედების შემთხვევაში, არამედ ზოგადად ქალებთან მიმართებაში.

კონსტიტუციის მუხლი 36(1) ადგენს, რომ „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“. ანუ, საქართველოს უზენაეს კანონში არ არის მოხსენიებული ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებითი თანასწორობა. მუხლი 36(3) ადგენს, რომ „დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა

2012 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნა სიძულვილის მოტივი, როგორც ჩადენილი დანაშაულისათვის უმაღლესი სასჯელის დაკისრების საფუძველი, მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და/ან გენდერული იდენტობის საფუძველზე სიძულვილით გამოწვეული დანაშაულის შემთხვევაში¹⁵. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ამ მუხლის განხორციელება არ ხდება. პროკურორები აცხადებენ, რომ ეს მუხლი გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ მოსამართლეების მიერ, რადგან ისინი აკისრებენ სანქციებს; მეორე მხრივ, თუ სიძულვილის მოტივი არ არის გამოძიებული და პროკურატურის მიერ არგუმენტის სახით მოყვანილი, ეს მუხლი ვერ იქნება გამოყენებული.

2012 წელს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები იქნა შეტანილი და ოჯახში ძალადობა ცალკე დანაშაულად განისაზღვრა. 126-ე მუხლი ასევე ახდენს ოჯახში ძალადობის გარკვეული ფორმების კრიმინალიზაციას, კერძოდ, ეს ფორმებია: «ძალადობა, სისტემური დამცირება, შანტაჟი, ღირსების შემლახველი მოპყრობა, რომელიც იწვევს ტკივილს ან ტანჯვას»¹⁶. რადგანაც ისეთი ფიზიკური ძალადობა, როგორიცაა ცემა, სხეულის დაზიანება და სექსუალური ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება, სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად მანამდეც აღიარებული იყო როგორც დასჯადი დანაშაული, ოჯახში ძალადობა ამჟამად ასევე მოიცავს ფსიქოლოგიური ძალადობის გარკვეულ ასპექტებს, რაც ახალ მიდგომას წარმოადგენს.

თუმცა აღსანიშნავია, რომ სექსუალური დანაშაულების შესახებ თავი მოძველებულია და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. მაგალითად, გაუპატიურება 137-ე მუხლით დადგენილი დანაშაულია, მაგრამ იგი არ საზღვრავს კონკრეტულ ქმედებებს. პრაქტიკაში ეს მუხლი მხოლოდ ვაგინალურ შეღწევაზე ვრცელდება, ხოლო 138-ე მუხლი, რომელიც

13 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/30346?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

14 *Beridze and others v. Parliament of Georgia*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, No. 2/1-392, 2008, პარ. II.2.

15 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53(3), ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/16426, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

16 იქვე, მუხლი 126.

«სექსუალური ხასიათის ძალადობრივ ქმედებას» მოიხსენიებს, პრაქტიკაში ვრცელდება სხვა სახის პენეტრაციაზე, და მასში გამოყენებულია საბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელი ისეთი სამართლებრივი ენა, როგორცაა „მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით“¹⁷. შემოთავაზებულია, რომ სტამბულის კონვენციის რატიფიცირების შესახებ ცვლილებების პროექტის პაკეტში მოცემული ტერმინოლოგია ამოღებული იქნას მუხლიდან. ახლახან, იუსტიციის სამინისტრომ გაუპატიურების ახალი განსაზღვრება შეიმუშავა სტამბულის კონვენციის რატიფიკაციის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ფარგლებში. ამ კვლევის მომზადების პერიოდისთვის არც არსებულ ტექსტში, და არც სექსობრივი დანაშაულების შესახებ თავის ახალ პროექტში არ იყო ასახული ქორწინებაში გაუპატიურება როგორც დანაშაული. 2012 წელს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი მე-11 მუხლი, რომელიც ოჯახში ჩადენილ დანაშაულთა ახალი ტიპოლოგიას წარმოადგენდა. ეს მუხლი შეიცავს სხვადასხვა დანაშაულების ჩამონათვალს, რომლებიც ითვლება ოჯახში დანაშაულად, თუ ისინი ჩადენილია ოჯახის წევრების მიერ, და ამ მუხლში ასევე ჩამოთვლილია სექსუალური დანაშაულები, მათ შორის გაუპატიურება; ანუ, დანაშაულად ასევე ითვლება მეუღლის მიერ ჩადენილი გაუპატიურება.

2014 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში იძულებითი ქორწინება ცალკე მუხლის მიერ განისაზღვრა როგორც დანაშაული¹⁸. კოდექსი არ ითვალისწინებს ისეთ დანაშაულს, როგორცაა ადევნება, თუმცა ეს დანაშაული გათვალისწინებული იქნება სტამბულის კონვენციის რატიფიცირებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში. საქართველოში არ არსებობს სასქესო ორგანოების დასახიჩრების პრაქტიკის აღრიცხული შემთხვევები, მაგრამ სექსუალური შევიწროება პრობლემას წარმოადგენს, როგორც ამას კვლევები ადასტურებენ (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2014: პარ 48-50). საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით სექსუალური შევიწროება არ ისჯება. შევიწროებასთან დაკავშირებული ერთადერთი დებულება შეეხება წესრიგის დარღვევას, რაც განსაზღვრულია როგორც „საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს“¹⁹. ეს დანაშაული მიმართულია საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ, და არა პირის წინააღმდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი არ ითვალისწინებს თავდასხმისგან პირების დაცვას, არამედ იგი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისგან დაცვას. სექსუალური შევიწროება განისაზღვრება კანონით გენდერული თანასწორობის შესახებ, როგორც „სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნას“²⁰. ამ დებულებას ორი სახის პრობლემა ახასიათებს. პირველ რიგში, ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, მოცემული დეფინიცია მხოლოდ შრომით ურთიერთობებს მოიცავს, და მეორე, მოცემული მუხლი არ უზრუნველყოფს რაიმე სამართლებრივი დაცვის საშუალებებს ან განხორციელების მექანიზმებს.

კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი საქართველოს პარლამენტმა 2006 წელს მიიღო. ამგვარად, ოჯახში ძალადობა პირველად განისაზღვრა კანონით, როგორც დანაშაული. 2014 წელს კანონში შეტანილი შემდგომი ცვლილებების შედეგად, ოჯახში ძალადობა განისაზღვრა როგორც ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“²¹. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა, იძულება და უგულებელყოფა აკრძალულია, ეკონომიკური ძალადობა კვლავაც უბრალოდ დეფინიციად რჩება. ეკონომიკური ძალადობის წინააღმდეგ სანქციების აღსრულება არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით.

17 იქვე, მუხლები 137-138

18 იქვე, მუხლი 150

19 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 166.

20 საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 6 (1) (b), ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/91624?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

21 ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი, მუხლი 3, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/26422?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

საოჯახო სამართალი და საკუთრების უფლება

ქორწინება საქართველოს კონსტიტუციით რეგულირდება, რომლის შესაბამისადაც, ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას²². კონსტიტუცია არ განსაზღვრავს ქორწინებაში მყოფ პირთა სქესს, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი აოჯახის შექმნის მიზნით²³. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მეუღლეთა უფლება-მოვალეობების ასპექტებს²⁴. მუხლი ადგენს, რომ მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება. სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლი ადგენს, რომ საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. გარდა ამისა, კანონმდებლობის უახლესი ცვლილებებით²⁵ სამოქალაქო ქორწინება ამჟამად შესაძლებელია 17 წლის ასაკში, მშობიარობის შემთხვევაში სასამართლოს ნებართვით. ეს დებულება ძალაშია 2017 წლის 1 იანვრამდე, რის შედეგადაც არასრულწლოვანთა ქორწინების რეგისტრაცია არ იქნება დაშვებული არანაირ გარემოებებში.

ადრეული ქორწინების პრობლემა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ბავშვთა უფლებების დარღვევაა, რაც არათანაზომიერ გავლენას ახდენს გოგონებზე (აბაშიძე 2015). საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ყოველწლიური მოხსენების თანახმად, ადრეული ქორწინება სკოლის დატოვების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია. 2011 წლიდან 2013 წლამდე, 15 წლამდე ასაკის გოგონადან 7 367 გოგონამ მიატოვა სკოლა. სახალხო დამცველმა წარმოადგინა საქმეების ჩამონათვალი, როდესაც ახალგაზრდა გოგონების მშობლები თავიანთ ქალიშვილებს პირუტყვის სანაცვლოდ აქორწინებდნენ (სახალხო დამცველის აპარატი 2016: 272-3). ზოგჯერ პატარდღისა და სასიძოს ოჯახები მატერიალური დაინტერესების გამო აღწევნ შეთანხმებას ქორწინების თაობაზე, ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვის საუკეთესო ინტერესების სრული უგულვებელყოფით, და მეუღლის საკუთარი ნებით არჩევის უფლების დარღვევით. არსებული მდგომარეობით, ბევრი ოჯახი იქმნება, სადაც საცოლე 16 წლისაა, და ასეთი ქორწინებები არ რეგისტრირდება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ქორწინებები არ არის დარეგისტრირებული, ადრეული ქორწინება კვლავაც სერიოზული გამოწვევა რჩება.

სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლი ადგენს, რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი. 1153-ე მუხლი კრძალავს ქორწინებაში შესვლისას დისკრიმინაციას, და დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში უფლებათა პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდვას. სამოქალაქო კოდექსის სხვა მუხლებშიცაა განსაზღვრული მეუღლეთა უფლება-მოვალეობები, კერძოდ: საოჯახო საკითხების ერთობლივი გადაწყვეტა (მუხლი 1155); საოჯახო საკითხების ერთობლივი გადაწყვეტა (მუხლი 1156); და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა (მუხლი 1157). 1157-ე მუხლი ადგენს, რომ „თითოეულ მეუღლეს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ოჯახის ინტერესებს“. სამოქალაქო კოდექსისადმი კომენტარებში არ არის განმარტებული, თუ რა იგულისხმება „ოჯახის ინტერესებში“, თუმცა კომენტარებში მითითებულია, რომ ეს მუხლი არ ავალდებულებს მეუღლეს, რომ იცხოვროს თავის ქმართან, და რომ მეუღლეებს შეუძლიათ იცხოვრონ ცალკე²⁶. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ორ საქმესთან დაკავშირებით მიუთითა 1157-ე მუხლზე, მაგრამ ორივე საქმე შეეხებოდა მემკვიდრეობას და ქონების გაყოფას, და არა საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებულ დავას²⁷.

სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს მეუღლეთა ქონებრივ საკითხებს. 183-ე მუხლში აღნიშნულია, რომ უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. 1158-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.“ იმავე მუხლის მე-2 პარაგრაფი ადგენს, რომ ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთ მათგანს საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. კანონი ასევე ადგენს,

22 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 36, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/30346?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

23 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1106, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/31702?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

24 იქვე, მუხლი 1151

25 იქვე, მუხლი 1507.

26 კომენტარები საქართველოს სამოქალაქო კოდექსისადმი, ტომი 5, (2000), გვ. 106-7.

27 საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე No. 3k/215-01, 2001 წლის 11 აპრილი, და საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე No. as-839-788-2010, 2011 წლის 18 იანვარი.

რომ საოჯახო საქმიანობა ან შვილების მოვლა წარმოადგენს ზემოთხსენებულ საპატიო მიზეზს. მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეებს თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე თანაბარი უფლებები აქვთ (მუხლი 1159) და იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით (მუხლი 1160 (1)), მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით (მუხლი 1160 (2)). ეს უკანასკნელი დებულება არათანაბრობიერად აისახება ქალებზე, რადგანაც საკუთრებით განკარგვას და ტრანზაქციებს ძირითადად მამაკაცები ახორციელებენ მათი ოჯახის უფროსის ტრადიციული როლის გამო. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა 1992 წლიდან 2007 წლამდე პრივატიზაციის პროცესის კონტექსტში, როდესაც მინა ოჯახებს გადაეცათ საკუთრებაში, და მინის გადაცემისა და მიღების აქტებს ოჯახის უფროსები, ანუ როგორც წესი, მამაკაცები აწერდნენ ხელს (Rolfes and Grout 2013: 38- 42).

სამოქალაქო კოდექსი ასევე არეგულირებს მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ანდერძის არარსებობის შემთხვევაში პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან არიან გარდაცვლილის მეუღლე, შვილები, მათ შორის, გარდაცვალების შემდეგ დაბადებული შვილები, და მშობლები (მუხლი 1336). სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1371 ადგენს, რომ მემკვიდრეობის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი).

შრომითი კანონმდებლობა

გენდერის ცნება არ არის ინტეგრირებული საქართველოს შრომის კოდექსში. ერთადერთი მუხლი, სადაც ადამიანის სქესია ნახსენები, არის მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას სქესის ნიშნით შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში.²⁸ ურთიერთობებში სქესის მიხედვით. 28 თუმცა, “გენდერი” ამ სტატიაში ან სხვაში არ არის ნახსენები. თუმცა გენდერი არ არის ნახსენები არც ამ, და არც სხვა მუხლებში.

შრომის კოდექსი ქალებთან დაკავშირებულ დებულებებს შეიცავს. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად. მოცემული აკრძალვა დადგენილია როგორც დამცავი ზომა²⁹.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 147/N მძიმე, მავნე ან საშიში სამუშაოების ჩამონათვალის შესახებ შეიცავს 538 კატეგორიას, და ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისათვის აკრძალული სამუშაოების გრძელ ჩამონათვალს³⁰. ასეთ სამუშაოებს მიეკუთვნება: რადიოსა და ტელევიზიის წამყვანები და დირექტორები (მუხლი 509 (1)); ტაქსის მძღოლები (მუხლი 481 (6)); კონდიტერები, რომლებიც ვაჟინს ამზადებენ (მუხლი 431 (5)), და სხვა. ორსული ქალებისა და მეძუძური დედების მიმართ უნებლიე შეზღუდვების თავიდან აცილების მიზნით, მოცემული ბრძანება აშკარად საჭიროებს გადასინჯვას.

შრომის კოდექსის თანახმად, აკრძალულია ორსული ან ახალწამშობიარები ქალის, ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე³¹. გარდა ამისა, აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) ორსული, ახალწამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, და 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის დასაქმება მისი თანხმობის გარეშე³². დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას³³.

შრომის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით, საიდანაც ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, და ეს ანაზღაურება

28 საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 2(3), ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

29 იქვე, მუხლი 4(5)

30 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 147/N მძიმე, მავნე ან საშიში სამუშაოების ჩამონათვალის შესახებ, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/70600, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

31 იქვე, მუხლი 17(2)

32 იქვე, მუხლი 18

33 იქვე, მუხლი 35(7)

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება 1 000 ლარის ოდენობით.³⁴ კანონი არ ახდენს დიფერენცირებას ორსულობას, სამშობიაროსა და ბავშვზე ზრუნვას შორის. ამკარაა, რომ ორსულობისა და დეკრეტული შვებულების აღება მხოლოდ ქალებს შეუძლიათ. რაც შეეხება ბავშვის მოვლის შვებულებას, შრომის კოდექსი არ აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა ეს დებულება მამებზეც, მაგრამ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება No. 231/N განსაზღვრავს, რომ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვზე ზრუნვის შვებულება არ მიენიჭება მშობიარე ქალის ოჯახის წევრს. მშობიარე ქალის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვზე ზრუნვის ანაზღაურებადი შვებულება მიენიჭება ცოცხალი ბავშვის მამას.³⁵ ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით, მამებს არ ეძლევათ ბავშვზე ზრუნვის შვებულება, თუ ბავშვის დედა ცოცხალია. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მამობის შვებულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოსამსახურეები სადეკრეტო და ბავშვის მოვლის შვებულებისას ხელფასს სრული ოდენობით იღებენ³⁶, მაგრამ იგივე არ ეხება კერძო სექტორს.

შრომის კოდექსის შესაბამისად, შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო³⁷. ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულება, რომლის ხანგრძლივობა 12 კვირას შეადგენს, შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს³⁸.

პენსიაზე გასვლის და პენსიის მიღების უფლება დაკავშირებულია საპენსიო ასაკთან, რომელიც მამაკაცებისთვის 65 წელია, ხოლო ქალებისთვის 60 წელი³⁹.

შრომის კოდექსი არ კრძალავს ცალსახად სექსუალურ ძალადობას სამუშაო ადგილას, რაც პრობლემატურია, თუმცა მე -2 მუხლი ადგენს, რომ პირდაპირი ან ირიბი შევიწროება დისკრიმინაციას წარმოადგენს.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა

2014 წელს საქართველომ მიიღო კანონი “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”. კანონი მიღებულ იქნა ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში (ევროკავშირი, 2013 წელი). ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, და მასში განსაზღვრულია ყველა დაცული საფუძვლები, მათ შორის სქესის და გენდერის ნიშნით⁴⁰. ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში⁴¹.

როგორც მანამდე აღინიშნა, პირდაპირი დისკრიმინაციის დეფინიცია პრობლემატურია, რადგანაც იგი ასევე ირიბი დისკრიმინაციის გარკვეულ ასპექტებს მოიცავს. პირდაპირი დისკრიმინაცია განსაზღვრულია როგორც სიტუაცია, როდესაც კანონმდებლობა „არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფი პირებისადმი მოპყრობა მათი უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით მსგავსია“. იგივე წინადადებაა განმეორებული ირიბი დისკრიმინაციის განსაზღვრებაში⁴² ამგვარად, კანონი უნდა გადაისინჯოს, რათა პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს. კანონის კიდევ ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მასში არ არის დასახელებული დევნა როგორც დისკრიმინაციის ცალკე ფორმა.

34 საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 29, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

35 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება No. 231/N ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის, და ბავშვის შვილების შესახებ ანაზღაურებადი შვებულების მიცემის წესის თაობაზე, მუხლი 10 (6), ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/66208, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

36 კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 41.

37 საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 22(4), ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

38 იქვე, მუხლი 30(2).

39 კანონი პენსიების შესახებ, მუხლი 5, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/27946?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

40 საქართველოს კანონი “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”, 2014, მუხლი 1.

41 იქვე, მუხლი 3

42 იქვე, მუხლები 2(2) და 2(3).

კანონის მე-2 მუხლი ითვალისწინებს დროებითი სპეციალური ღონისძიებების გატარებას „რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, განსაკუთრებით – გენდერულ, ორსულობისა და დედობის საკითხებში, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ“. კანონი დგენს, რომ სპეციალური და დროებითი ღონისძიებები არ წარმოადგენს დისკრიმინაციას.

კანონით ახალი მექანიზმის შექმნას ადგენს, კერძოდ, სახალხო დამცველის ოფისთან მონიტორინგის მექანიზმის შექმნას. სახალხო დამცველი „შეისწავლის დისკრიმინაციის ფაქტს როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციას, და ამ კანონის მიზნებისათვის შეიმუშავებს მოსაზრებებს აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და მათ საკანონმდებლო წინადადების სახით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს⁴³. ამ მექანიზმის ძირითადი ხარვეზი იმაში მდგომარეობს, რომ რეკომენდაციები არ არის სავალდებულო ხასიათის, არამედ სარეკომენდაციო ხასიათისაა, რის გამოც მათი შესრულება ეფექტურად არ ხდება.

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ

2010 წელს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი იქნა მიღებული, რომლის მიზანია დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფა და სათანადო პირობების შექმნა თანასწორი უფლებების და შესაძლებლობების რეალიზაციისთვის⁴⁴. კანონი ითვალისწინებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველს. მსგავსად დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ კანონისა, პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის დეფინიცია ერთმანეთს ემთხვევა.⁴⁵

კანონი განსაზღვრავს იმ სფეროებს, სადაც გენდერული თანასწორობა უნდა იყოს გარანტირებული: შრომითი ურთიერთობები (მუხლი 6), განათლება და მეცნიერება (მუხლი 7); ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (მუხლი 8); ჯანდაცვა და სოციალური დაცვა (მუხლი 9); ოჯახური ურთიერთობები (მუხლი 10); და თანაბარი საარჩევნო უფლება (მუხლი 11). კანონი ასევე ავალდებულებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, განახორციელონ სქესის მიხედვით მონაცემების დესაგრეგაცია (მე -5 მუხლი).

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მე-3 თავში განხილულია გენდერული თანასწორობის მოთხოვნის დაცვის მონიტორინგი. გენდერული თანასწორობის მონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილების მქონე ორგანოებად ოთხი სახელმწიფო ინსტიტუტია იდენტიფიცირებული: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სახალხო დამცველი.

საქართველოს პარლამენტი ვალდებულია შექმნას გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, შესრულების მონიტორინგზე, კანონმდებლობის ანალიზზე, ცვლილებების შეთავაზებაზე, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე (მუხლი 12).

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი 2014 წელს გადაისინჯა, და მე-12 მუხლის შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები „საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობების თანახმად შესაბამის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნიან გენდერული თანასწორობის საბჭოს“⁴⁶.

მე-13 მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოები შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, მე-14 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის დაცვის მონიტორინგს და რეაგირებას ახდენს გენდერული თანასწორობის დარღვევაზე.

43 იქვე, მუხლი 6(2)

44 საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010, მუხლი 2.

45 იქვე, მუხლი 3(1)

46 საქართველოში არის ორი ავტონომიური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 3, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/30346?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის ძირითადი ხარვეზი ის არის, რომ იგი არ ითვალისწინებს ინდივიდუალური საჩივრის მექანიზმს, რომელიც საშუალებას მისცემს პირს წამოიწიოს სამართალწარმოება დარღვევის შემთხვევაში. კანონი განსაზღვრავს შემოსენებულ ორგანოებს მისი განხორციელების მონიტორინგისთვის, მაგრამ ანტიდისკრიმინაციული კანონისგან განსხვავებით, არ შეიცავს მონიტორინგის მექანიზმს, რომელიც უფლებამოსილია საჩივრების მიღებასა და დისკრიმინაციის შესახებ რეკომენდაციების გაცემაზე.

გენდერ-ნეიტრალური კანონმდებლობის უარყოფითი ზეგავლენა

საქართველოს კანონების უმეტესი ნაწილი გენდერ-ნეიტრალურია. კანონმდებელი თანაბრად ეპყრობა საქართველოს მოქალაქეებს, და შესაბამისად, კანონებს აკლია გენდერული სენსიტიურობა და არ არსებობს პოლიტიკური ნება, რათა გენდერული დისბალანსის და ისეთი სოციალური სტრუქტურებით განპირობებული პრობლემების ეფექტიანად გადაჭრა მოხდეს, სადაც მამაკაცებს უკავიათ დომინანტური პოზიციები. გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალური კანონმდებლობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ქალთა და მამაკაცთა შორის არსებული თანდაყოლილი უთანასწორობის პრობლემა იქნას დაძლეული, რომელიც შეინიშნება საქართველოში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. არსებითი თანასწორობა არ იქნება მიღწეული გენდერ-ნეიტრალურ კანონმდებლობის არსებობის პირობებში, რადგან გენდერული ნეიტრალიტეტი ილუზიაა. სინამდვილეში, რადგან მამაკაცები წარმოადგენენ ნორმას, გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალური კანონები შექმნილია მამაკაცების მოსაზრებების, ღირებულებებისა და საჭიროებების საფუძველზე (ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისია 2013: 9).

აუცილებელია გენდერ-ნეიტრალური კანონმდებლობის ქალებზე ზეგავლენის შეფასება, მაგრამ კანონმდებლობის გენდერული თვალსაზრისით შეფასების პრაქტიკა საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს.

კანონმდებლობის აღსრულების პრაქტიკისა და მექანიზმების ანალიზი

ოჯახში ძალადობის კანონმდებლობისა და პოლიტიკის განხორციელება

სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურად ჩამოყალიბებისა და ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის განხორციელების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, 2008 წელს პრეზიდენტის №625 ბრძანების საფუძველზე უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა. 2015 წელს იგი ჩანაცვლებული იქნა უწყებათაშორისი საბჭოთი ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რომელიც No. 630. ბრძანების საფუძველზე შეიქმნა. ორივე საბჭოს მსგავსი მიზნები გააჩნდა, იმ განსხვავებით, რომ ახალი უწყებათაშორისი საბჭო შედგება სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისგან, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ცალკე მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან. ძველი საბჭოს შემადგენლობაში მოწვეული წევრების სახით შედიოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, და ამ მხარეების შეხვედრები წარმოადგენდა ფორუმს ყველა მხარის პირდაპირი კონსულტაციისთვის. ახალი საბჭოს შემთხვევაში კანონით ასეთი შესაძლებლობა არ არის გარანტირებული. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სამოქმედო გეგმების შემუშავება სამწლიანი ვადისთვის.

დამცავი და შემაკავებელი ორდერები ოჯახში ძალადობის შესახებ კანონში 2006 წლიდან არის გათვალისწინებული. როდესაც 2012 წელს ოჯახში ძალადობა დანაშაულად იქნა აღიარებული, პოლიციისთვის არ იყო ნათელი თუ რა ზომები გამოეყენებინა, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის, თუ ორივე. ტექნიკურად, კანონმდებლობა არ ზღუდავდა რომელიმე, ან ორივე სახის ზომის გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ 2014 წელი ოჯახში ძალადობის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის შედეგად განმარტებული იქნა, რომ “ოჯახში ძალადობის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენება (სისხლის სამართლის მექანიზმი) არ ზღუდავს ძალადობის მსხვერპლის (დაზარალებულის) დაცვის უზრუნველსაყოფად შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გაცემის შესაძლებლობას”⁴⁷.

47 საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ, მუხლი 10 (5), ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/26422?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

რეაბილიტაციის მომსახურება და კომპენსაცია ოჯახში ძალადობის შესახებ კანონითაა გარანტირებული. საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (Atipfund) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა, და იგი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციას უწევს ორგანიზებას.⁴⁸ ამჟამად სახელმწიფო ფონდი მართავს სახელმწიფო თავშესაფრებს თბილისში, გორში, ქუთაისსა და ბათუმში, მაგრამ სახელმწიფო არ მართავს კრიზისული დახმარების ცენტრებს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული დახმარების ცენტრებს ორი არასამთავრობო ორგანიზაცია მართავს, და მათ შეუძლიათ დახმარების უზრუნველყოფა ერთდროულად მხოლოდ 10-15 დაზარალებულისთვის დაახლოებით 9 დღის განმავლობაში.

ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად (მოდალადის რეაბილიტაცია) „დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას“⁴⁹. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მოძალადის სარეაბილიტაციო სერვისები სახელმწიფოს არ შეუქმნია. სახელმწიფო ავალდებულებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უზრუნველყოს დამცავი ორდერით გათვალისწინებული ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის ორგანიზებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება⁵⁰, და სარეაბილიტაციო სერვისების ორგანიზება იმ პირებისთვის, ვინც ოჯახში ძალადობა ჩაიდინეს. აღსანიშნავია, რომ 2006 წლიდან კანონით გათვალისწინებულია სარეაბილიტაციო მომსახურების დანერგვა, მაგრამ საქართველოს მთავრობა განაგრძობს ამ ვალდებულების განხორციელების გადადებას.

ფემციდის აღრიცხული შემთხვევების ზრდასთან ერთად, რაც 2014 წლის მონაცემებით დასტურდება, რომელთა შესაბამისადაც 17 ქალბატონი იქნა მოკლული ოჯახის წევრების მიერ (სახალხო დამცველის აპარატი, 2015a: 32), იმავე წლის ბოლოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ წამოიწყო ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის პრევენციის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება. სტრატეგიის პროექტი მწვავედ გააკრიტიკა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, მისი შინაარსისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების დაბალი ჩართულობის გამო. ამჟამად ეს პროცესი შეჩერებულია.

2014 წლის ბოლოსთვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ოჯახში ძალადობის აღრიცხული შემთხვევების რაოდენობა. იგივე შეიძლება ითქვას დამცავი ორდერების გაცემასთან დაკავშირებით. სიტუაცია შეიძლება აიხსნას საქართველოს მთავრობის მიერ ცნობიერების ამაღლების აქტიური კამპანიის ჩატარებით და ოჯახში ძალადობის მიმართ სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრებით, რაც ნიშნავს, რომ უფრო მეტი დანაშაულის შეტყობინება ხდება პოლიციისთვის, რომელიც თავის მხრივ უფრო ეფექტურ რეაგირებას ახდენს ასეთ შემთხვევებზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული მონაცემებით, პოლიციამ 2013 წელს 249 დამცავი ორდერი გასცა, 2014 წელს მათი რაოდენობა 975-ს შეადგენდა, ხოლო 2015 წლის პირველ ნახევარში ასეთი ორდერების რაოდენობა 1 463 იყო⁵¹. მეორეს მხრივ, ძალადობის მსხვერპლთა მიერ პოლიციელთა დახმარების გარეშე მოთხოვნილი დამცავი ორდერების რაოდენობა 2013 წელს 60-ს შეადგენდა, 2014 წელს 102-ს, ხოლო 2015 წლის პირველ ნახევარში 82-ს⁵². ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა, რომლებიც თავად მიმართავენ მართლმსაჯულებას, გაიზარდა (პატარაია 2016: 2).

გარდა ამისა, ბოლო სამი წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ოჯახში ჩადენილი დანაშაულისთვის მსჯავრდების რაოდენობა გაიზარდა. საქართველოს პროკურატურის ოფიციალური კორესპონდენციის შესაბამისად⁵³, ოჯახში ძალადობის დანაშაულისთვის სისხლის სამართლებრივი დევნის შემთხვევების რაოდენობა სტაბილურად გაიზარდა (ცხრილი 3.1).

48 Atipfund-ის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://www.atipfund.gov.ge/index.php/en/about-us/branches-and-shelters/shelter-for-victims-of-domestic-violence>, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

49 იქვე, მუხლი 10(7)

50 იქვე, მუხლი 21(10)

51 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური წერილი No. p-167-15, დათარიღებული 2015 წლის 5 ოქტომბრით.

52 იქვე

53 საქართველოს მთავარი პროკურატურის ოფიციალური წერილი No. 13/66099, დათარიღებული 2015 წლის 23 ოქტომბრით.

ცხრილი 1: ოჯახში ჩადენილი დანაშაულის სასამართლო წესით დევნის შემთხვევების რაოდენობა საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად

	2012	2013	2014	2015 (იანვ-სექტ)
ოჯახში ძალადობა (მუხლი 126)	41	155	411	575
სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 117), ჩადენილი ოჯახის წევრის მიერ	0	11	19	16
სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება (მუხლი 120) ჩადენილი ოჯახის წევრის მიერ	1	14	19	10
სხეულის მსუბუქი დაზიანება (მუხლი 120) ჩადენილი ოჯახის წევრის მიერ	6	26	49	66

აღსანიშნავია, რომ ოჯახში ჩადენილი სექსუალური დანაშაულების გაცხადება საქართველოში პრაქტიკულად არ ხდება, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 3.2.

ცხრილი 2: ოჯახის წევრის მიერ ჩადენილი სექსუალური ძალადობის სასამართლო წესით დევნის შემთხვევების რაოდენობა

	2012	2013	2014	2015
გაუპატიურება (მუხლი 137)	0	0	0	3
სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედება (მუხლი 137)	0	0	2	3
სექსუალური ხასიათის ქმედების იძულება	0	0	1	0

სექსუალური ძალადობა არის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად გაცხადებული გენდერული დანაშაული. ამას ასევე ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ანალიზი. ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სპეციალურ ანგარიშში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ 881 დამცავი და შემთავსებელი ორდერიდან მხოლოდ შვიდი ორდერი არის გაცემული სექსუალური ძალადობის დანაშაულთან დაკავშირებით (სახალხო დამცველის აპარატი 2015b: 44).

ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ ოჯახებში, სადაც ძალადობას აქვს ადგილი, ფიზიკურ ძალადობას ხშირად თან ახლავს სექსუალური ხასიათის ძალადობა მსხვერპლი ქალების მიმართ, და მთელი რიგი კვლევების შესაბამისად სექსუალური ძალადობის მაჩვენებელი 50%-დან 70%-მდე მერყეობს (მაჰონი და უილიამსი, 1998: 8). საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოწოდებული მონაცემები არ ადასტურებენ ქორწინებაში ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევების მსგავს კორელაციას. საქართველოში სექსუალური დანაშაულებების გაცხადების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია მართლმსაჯულების სისტემისადმი ნდობის უქონლობით და კულტურული ტაბუებით, რომელთა შესაბამისადაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს ბრალდებათ მსგავსი ქცევის გამოწვევა, და ისინი ამის გამო სირცხვილს განიცდიან, რაც ამგვარი დანაშაულის შესახებ გაცხადების ბარიერს წარმოადგენს.

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონისა და პოლიტიკის განხორციელება

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის განხორციელება არაეფექტურია შემდეგი მიზეზების გამო. პირველ რიგში, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო არ ეფექტურად ახორციელებს კანონის განხორციელების მონიტორინგს; ანგარიშები, რომელსაც იგი ამზადებს, უფრო მეტხედა საბჭოს საქმიანობას, და არა სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობას. მეორეც, როგორც აღნიშნული იქნა გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის ნაწილში, კანონი არ ითვალისწინებს საჩივრების მექანიზმს, რომლის გამოყენებითაც სამართალდარღვევის სასამართლო წესით დევნა მოხდებოდა. აქედან გამომდინარე, კანონი არის დეკლარაციული ხასიათის და არ ითვალისწინებს დაცვის ქმედით მექანიზმებს.

გენდერული თანასწორობის საბჭო 2008 წელს შეიქმნა საქართველოს პარლამენტის მიერ, და 2010 წელს ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, საბჭო მუდმივმოქმედი ორგანო გახდა. 2012 წლის შემდეგ, საბჭო ნაკლებად აქტიური იყო. 2012-13 წლის საქმიანობის ანგარიში ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე, და ანგარიშში ძირითადი საქმიანობის სახით მითითებულია ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება⁵⁴. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საბჭოს წევრებმა მხოლოდ ორი საკანონმდებლო ცვლილება წარადგინეს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილებები მომზადებული იყო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. საბჭომ ასევე შეიმუშავა და მიიღო 2014-2016 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა⁵⁵. ეს არის საქართველოს მეორე ასეთი სამოქმედო გეგმა, მაგრამ გეგმაში არ არის საკმარისად ასახული კონკრეტული აქტივობები და ვალდებულებები. გეგმაში ასევე არ არის განერილი ბიუჯეტი და დეტალური ვადები, და უკულებელყოფილია ისეთი მწვავე პრობლემები, როგორცაა მაგალითად, ადრეული ქორწინება. სახელმწიფო სამოქმედო გეგმების განხორციელების ანგარიშებიც კი მომზადებულია საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით და არა თავად საბჭოს მიერ. მთლიანობაში, საბჭოს მუშაობა შეიძლება შეფასდეს როგორც არაადამაკმაყოფილებელი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მანდატის თანახმად, მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გენდერულ მენისტრიმინგში.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება სქესისა და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებში

2014 წელს მიღებული იქნა კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. კანონის შემუშავების პროცესი თავდაპირველ ეტაპზე გამჭვირვალე იყო. იუსტიციის სამინისტრო სამოქალაქო საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციებს მართავდა, მაგრამ როდესაც პროექტი საქართველოს მთავრობას წარედგინა განსახილველად, სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. მთავრობამ მნიშვნელოვნად შეცვალა კანონპროექტი და ყოველგვარი საჯარო განხილვების გარეშე, გაუგზავნა იგი პარლამენტს და მოითხოვა დაჩქარებული წესით კანონპროექტის განხილვა. ერთი კვირის ვადაში სხდომები დაინიშნა და სამოქალაქო საზოგადოებას ძალიან ცოტა დრო ჰქონდა, რომ შეესწავლა ახალი პროექტი და მოამზადებინა კომენტარები. მეორეს მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა კანონის მიღებას და მოითხოვა მისი მიღების გადადება. მიუხედავად ამისა, კანონი მიღებულ იქნა ძალიან მოკლე დროში, და იგი შეიცავს რამდენიმე ხარვეზს, განსაკუთრებით განხორციელების მექანიზმების ნაწილში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახალხო დამცველის უფლებამოსილებებში შედის განმცხადებლების მიერ წარდგენილი საჩივრების განხილვა საჯარო ან კერძო პირების მიერ მათ მიმართ ჩადენილი დისკრიმინაციის თაობაზე, მაგრამ სახალხო დამცველს მხოლოდ რეკომენდაციების გაცემა შეუძლია, რომლებიც არ არის შესასრულებლად სავალდებულო. 2015 წლის სექტემბერში სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა პირველი სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის შესახებ. ანგარიშის თანახმად, 2014 წლის მაისიდან 2015 წლის აგვისტომდე პერიოდში, სახალხო დამცველმა მიიღო 107 საჩივარი და თავად წამოიყენა 4 საქმის შესწავლა. სახალხო დამცველმა მიიღო 8 გადაწყვეტილება, 1 რეკომენდაცია და 2 ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია. ამჟამად 60 საჩივარის განხილვა მიმდინარეობს; 21 საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი; 13 საჩივარი სხვა დეპარტამენტებს გადაეცა განსახილველად, ხოლო 2 საჩივარზე წარმოება დასრულდა, რადგან საქმეები პირველი ინსტანციის სასამართლოებს გადაეცა (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი: 2015 წ. 10-1). ის, რომ პირველ წელს სახალხო დამცველის ოფისმა 107 საჩივარი მიიღო დისკრიმინაციის შესახებ, შეიძლება შეფასდეს როგორც დამაკმაყოფილებელი, მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის ტემპზე. თუ სახალხო დამცველის აპარატის დისკრიმინაციის საქმეებზე მომუშავე დეპარტამენტის შესაძლებლობები არ გაძლიერდება, დაწესებულება გადატვირთული იქნება განსახილველი საჩივრებით.

არასამთავრობო ორგანიზაციების „კოალიციამ თანასწორობისთვის“ ასევე მოამზადა ერთწლიანი ანგარიში ანტიდისკრიმინაციული კანონის განხორციელების შესახებ. ანგარიში ყურადღებას

54 საქართველოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ ინფორმაცია და მისი საქმიანობის შესახებ ანგარი 2012-2013 წლების პერიოდისთვის ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/27258/sabchos_saqmianobis_angarishi, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

55 2014-2016 წლების გენდერული თანასწორობის გეგმა, ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/27264/NAP_2014-2016_FINAL, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

ამახვილებს საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაზე, რაც უფრო ეფექტიანს გახდის განხორციელების პროცესს. კერძოდ, რეკომენდაციების შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატს რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში კერძო პირების დაჯარიმების უფლებამოსილება ექნება; გარდა ამისა, შემოთავაზებულია სასამართლოში მიმართვის ვადის განსაზღვრა ნაცვლად ერთი თვის ვადისა, ერთი წლის ვადად; აგრეთვე, სახალხო დამცველის აპარატს შეუძლია გააგრძელოს საქმის განხილვა მას შემდეგაც, რაც იგი სასამართლოს გადაეცემა განსახილველად, და ა.შ. (კოალიცია თანასწორობისთვის, 2015: 65).

სოციო-ეკონომიკური და კულტურული ბარიერები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობაზე

გენდერული დამოკიდებულებები და სტერეოტიპები საქართველოში

ქალთა საზოგადოებაში ადგილის შესახებ დამოკიდებულებები

საქართველო არის პატრიარქალური საზოგადოება, სადაც გენდერული როლები უაღრესად დიქტომირებულია. ქალის ძირითადი როლია დედობა და ოჯახზე ზრუნვა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 65.6% მიიჩნევს, რომ ქალები ფასდებიან თავიანთ ოჯახებში შეტანილი წვლილით, და არა მათი კარიერით (UN Women 2014: 27), ხოლო გამოკითხულთა 92%-ის აზრით, ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლია ოჯახზე ზრუნვა (UNDP 2013: 19). პროფესიული ცხოვრება განიხილება მხოლოდ როგორც ამ ძირითადი როლის დამატებითი როლი. იმისთვის, რომ ქალმა ოჯახზე ზრუნვა სამსახურთან შეათავსოს, მან უფრო “ქალური” სამუშაო უნდა აირჩიოს, რომელიც ნახევარ განაკვეთზე მუშაობას, ან მოკლე სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობას გულისხმობს, ან არ მოითხოვს ზეგანაკვეთურ მუშაობას ან მოგზაურობას, მაგალითად, როგორცაა მასწავლებლად მუშაობა, ან გარკვეული სახის სამედიცინო პროფესიები. მეორეს მხრივ, მამაკაცები ითვლებიან ძირითად ოჯახის მარჩენალად, და მათი პასუხისმგებლობაა ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა. მამაკაცის როლი ბავშვის მოვლაში უმნიშვნელოა, და ისინი ზოგადად არ ასრულებენ საოჯახო საქმეებს (UNDP 2013: 19), რადგანაც ეს მოიაზრება როგორც „არამამაკაცური“ და სამარცხვინო.

საქართველოში, როგორც ტრადიცია, ასევე რელიგია მოუწოდებს ქალებს მორჩილებისკენ. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 63% (ქალების 56% და მამაკაცთა 72%) მიიჩნევს, რომ კარგი მეუღლე უნდა დაემორჩილოს თავის ქმარს, თუნდაც ის არ ეთანხმებოდეს მას (UNDP 2013: 19-20). ქართული ოჯახები უაღრესად იერარქიულია, და აღიარებენ მამაკაცის უპირატეს მდგომარეობას. ოჯახში მამაკაცი ითვლება გადაწყვეტილების მიმღებად. ამავე UNDP-ის კვლევის თანახმად, მამაკაცთა 62% მიიჩნევს, რომ მამაკაცებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ოჯახში, ხოლო ქალების 62% მიიჩნევს, რომ მეუღლეებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ოჯახში ერთობლივად (UNDP 2013: 18).

საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, ქალები და მამაკაცი თანასწორია მათი ცხოვრების დაგეგმვისა და მომავლის განსაზღვრის თვალსაზრისით; მოსახლეობის 68% მიიჩნევს, რომ ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობა ქალებისთვის მიუღებელია, და მხოლოდ 31% მიიჩნევს, რომ ეს მიუღებელია მამაკაცებისთვის (UNDP 2013: 64). იმავე კვლევამ აჩვენა, რომ ალკოჰოლის მოხმარება და მონევა ქალებისთვის შეუფერებელია (UNDP 2013: 19).

მამაკაცების უპირატესი მდგომარეობის შესახებ აღქმა ასევე აისახება მშობლების მიერ ვაჟიშვილებს და ქალიშვილებს შორის საკუთრების განაწილებაზე. UNDP-ის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 56% მიიჩნევს, რომ მშობლის სახლი მთლიანად, ან მისი დიდი ნაწილი, უნდა გადაეცეს ვაჟს; დანარჩენები მიიჩნევს, რომ ეს ქონება თანაბრად უნდა გაიყოს. არცერთი რესპონდენტი არ მიაჩნია, რომ უძრავი ქონება მხოლოდ ქალიშვილს უნდა გადაეცეს. რაც შეეხება სამკაულებს და მოძრავ ქონებას, 66% ფიქრობს, რომ იგი თანაბრად უნდა გაიყოს (UNDP 2013: 70).

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების აზრით ბავშვების განათლება ორივე სქესისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია, შეზღუდული ფინანსური რესურსების შემთხვევაში, გამოკითხულთა 44% ამზობინებს გადაიხადოს ვაჟის განათლების საფასური, ხოლო იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც გოგონების განათლების საფასურს გადაიხდიდნენ, მხოლოდ 22%-ია (UNDP 2013: 73).

დამოკიდებულებები ქალთა მიმართ ძალადობისადმი

სხვა საზოგადოებების ანალოგიურად, ოჯახში ძალადობა საქართველოში ქალების მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე ფარული ფორმაა. კვლევებმა აჩვენა, რომ ყოველი სამი ქალიდან ერთი ქალი პარტნიორის მხრიდან ძალადობას განიცდის, ხოლო ყოველი 11 ქალიდან ერთი ქალი ფიზიკურ ან სექსუალურ ძალადობას ექვემდებარება ქორწინებაში ან მსგავს ურთიერთობებში (ჩიტაშვილი და სხვ. 2010: 38). კვლევამ აჩვენა, რომ ქალების 82.5% და მამაკაცების 69%-ის აზრით ოჯახში ძალადობა ფართოდ არის გავრცელებული, ხოლო მხოლოდ ქალების 61%-ს და მამაკაცთა 50%-ს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა მიუღებელია და ყოველთვის უნდა დაისაჯოს კანონით. ზოგიერთი რესპონდენტი გამართლებულად მიიჩნევდა ცემას შემდეგ შემთხვევებში: 13.7% - თუ ქალი არ ბრუნავს ბავშვებზე, 6.6% - თუ ცოლი ქმართან კონფლიქტში შევა, 5.4% - თუ ცოლი დანავს საჭმელს, 4.6% - თუ ცოლი უარს ამბობს სექსზე, და 4.3% - თუ ცოლი მეუღლის ნებართვის გარეშე დატოვებს სახლს (ჩიტაშვილი და სხვები, 2010: 27-8 და 34-8).

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ განქორწინება მიზანშეწონილია ძალადობის შემთხვევაში (79%); გამოკითხულთა იგივე რაოდენობა მიიჩნევს, რომ ქალი არ უნდა გაჰყვეს ცოლად თავის გამტაცებელს. თუმცა, რესპონდენტთა 17.5% ფიქრობს, რომ ქალი უნდა გაჰყვეს ცოლად გამტაცებელს, თუ მასთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა, ხოლო 8.9%-ის აზრით, გამტაცებელზე ცოლად გაყოლა ნებისმიერ გარემოებებში გამართლებულია (ჩიტაშვილი და 2010 წ. 41-3). რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობას იმ შემთხვევებში აქვს ადგილი, როდესაც მამაკაცი ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს ბოროტად იყენებს, და ქალების მიერ ჩადენილი ღალატის შემთხვევაში (ჩიტაშვილი და სხვები: 39).

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (94%) მიიჩნევს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, როგორც ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებას (ჩიტაშვილი და სხვები 2010: 56).

დამოკიდებულებები ქალების კარიერისადმი

გენდერული თანასწორობისადმი დამოკიდებულების შესახებ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კვლევის თანახმად, ქალთა 85% მიიჩნევს, რომ სამუშაო ძალიან მნიშვნელოვანია ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. თუმცა, უფრო მეტი ქალი და მამაკაცი თვლის, რომ ოჯახი და ბავშვები ქალებისთვის უფრო მეტად პრიორიტეტულია, ხოლო გამოკითხულთა 51% ფიქრობს, რომ საოჯახო საქმეების კეთება ქალებს ისეთივე კმაყოფილებას ანიჭებს, როგორც ანაზღაურებადი სამუშაო. გარდა ამისა, რესპონდენტთა ნახევარი მიიჩნევს, რომ მამაკაცებს უფრო სჭირდებათ დასაქმება, ვიდრე ქალებს, და რესპონდენტების თითქმის იგივე რაოდენობის აზრით, მამაკაცებს უფრო მაღალი ხელფასი სჭირდებათ (UNDP 2013: 38).

გამოკითხულთა 58% აცხადებს, რომ მამაკაცები უკეთესი ბიზნეს ლიდერები არიან, ვიდრე ქალები, ხოლო 47% მიიჩნევს, რომ ქალები სუსტები არიან, და პოლიტიკა არ არის მათთვის შესაბამისი კარიერა. რესპონდენტთა ნახევარი მიიჩნევს, რომ მამაკაცები, როგორც წესი, უკეთესები არიან ნებისმიერი საქმიანობის სფეროში, ვიდრე ქალები. რესპონდენტებს ასევე მიაჩნიათ, რომ ქალების ჩართულობა ბიზნესში უფრო მისაღებია, ვიდრე პოლიტიკაში (UNDP 2013: 41, 48, 58).

მეორე მხრივ, რესპონდენტები ფიქრობენ, რომ ქალები არ უნდა ამოირიცხონ პოლიტიკიდან; გამოკითხულთა ნახევარი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში უკეთესი მდგომარეობა იქნება, თუ მეტი ქალი იქნება ჩართული პოლიტიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მხოლოდ პოლიტიკის გარკვეულ სფეროებში მოიაზრებენ ქალების ჩართულობას, და არ გულისხმობენ, რომ მიზანშეწონილია ქალების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა (UNDP 2013: 54-5).

საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 46% ეთანხმება, ხოლო 39% არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ქალები ისეთივე წარმატებული ვერ იქნებიან, როგორც მამაკაცები ოჯახისა და ოჯახზე ზრუნვასთან დაკავშირებული საქმეების გამო, რაც ხელს უშლის ქალს კარიერულ განვითარებაში (UNDP 2013: 29).

ქალთა საზოგადოებაში, ეკონომიკასა და პოლიტიკაში მდგომარეობასთან დაკავშირებული სტატისტიკის მოკლე მიმოხილვა

ქალები ეკონომიკაში

გენდერული უთანასწორობა ამკარად ჩანს სტატისტიკური მონაცემებიდან შემოსავლების, ხარჯების, ხელფასების, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროების შესახებ. საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 75%-ს ქალები (49% დასაქმებული და 8% უმუშევარი), ხოლო 78%-ს მამაკაცები შეადგენენ (66% დასაქმებულია და 13% უმუშევარი); ქალების 16% დიასახლისები არიან (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2013: 51).

2014 წელს ჩატარებული შრომის ბაზარზე გენდერული დისკრიმინაციის კვლევის მიხედვით, ქალთა საშუალო ხელფასი 251 ლარიდან 400 ლარამდე იყო, მაშინ, როდესაც მამაკაცების საშუალო ხელფასი 401 ლარიდან 700 ლარამდე იყო (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2014: 3). იმავე კვლევამ აჩვენა, რომ მამაკაცების განათლების დონე არ აისახება მათ ხელფასზე, ხოლო ქალებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომი, იმისთვის რომ მიიღონ კაცის საშუალო ხელფასის ოდენობის ხელფასი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (GeoStat) ასევე აგროვებს ინფორმაციას სახელფასო ანაზღაურებაში არსებული სხვაობის თაობაზე. 2012 წელს, 2011 წელთან შედარებით, დაქირავებული თანამშრომლების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 14.6% -ით გაიზარდა ქალების შემთხვევაში, და 18.5%-ით მამაკაცების შემთხვევაში. დასაქმებულ ქალთა ნომინალური ხელფასი უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცებისა ეკონომიკის ყველა სექტორში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2013: 67). 2013 წელს დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ქალების შემთხვევაში 585 ლარი იყო, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში - 920 ლარი, შესაბამისად, 2013 წელს ხელფასებში სხვაობა 36.4% იყო, 2012 წელს - 39.7%, 2011 წელს 40.4% და 2010 წელს 42.6% (სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველო 2013: 11 და 92).

შრომითი დისკრიმინაციის შესახებ კვლევები ცხადყოფენ, რომ ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაცია არის ხელფასის უთანასწორობის ასპექტი. გამოკითხულთა 65%-მა განაცხადა, რომ მათ მამაკაცი მენეჯერი ჰყავდათ, ხოლო 31%-მა განაცხადა, რომ მათი უშუალო ხელმძღვანელი ქალი იყო, რაც ვერტიკალურ სეგრეგაციაზე მიუთითებს. ჰორიზონტალური სეგრეგაცია ნათლად გამოიკვეთა სექტორული დასაქმების მიხედვით: ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სექტორში დასაქმებულთა 79% ქალებია, განათლების სექტორში დასაქმებულთა 78% ქალია, ხოლო სამშენებლო სექტორში მამაკაცების 96%-ია დასაქმებული, ტრანსპორტის და დასაწყობების სექტორში - 91%, ხოლო საჯარო ადმინისტრირებასა და თავდაცვის სექტორში - 47%, (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2014: 3). გარდა ამისა, გენდერული უთანასწორობა გამოიკვეთა სახელფასო დანამატებსა და ბონუსებში: მამაკაცების 66%, და ქალების მხოლოდ 34% იღებენ სახელფასო დანამატებს და ბონუსებს (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2014: 4).

ქალებთან შედარებით უფრო მეტი მამაკაცია ჩართული ბიზნესში: 342 062 მამაკაცი და 208 823 ქალი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2013: 14). სოფლის მეურნეობაში 70% ფერმას მამაკაცები ხელმძღვანელობენ, ხოლო ქალთა ამ სფეროში ჩართულობა 30%-ს შეადგენს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2013: 99). საერთო შემოსავლების განაწილება, ნაღდი ფულადი სახსრების და არაფულადი შემოსავლების სახით, ქალების შემთხვევაში 649 ლარია, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში - 861 ლარი; ქალების მთლიანი დანახარჯები 635 ლარია, ხოლო მამაკაცების - 834 ლარი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2013: 64).

ქალები პოლიტიკაში

მსგავსად მრავალი სხვა ქვეყნისა, საქართველოში პოლიტიკის სფეროში მამაკაცები დომინირებენ, თუმცა გენდერული დისბალანსი უაღრესად მკაფიოდაა გამოკვეთილი. 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ (საპარლამენტო შორისო კავშირი, 2017ა) საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი ქალების რაოდენობა 16%-ს შეადგინა, ხოლო 2017 წლის მარტის მდგომარეობით ქალი პარლამენტარების გლობალური საშუალო მაჩვენებელი 23.3% იყო (საპარლამენტო შორისო კავშირის 2017ბ). საპარლამენტო შორისო კავშირის მიერ ჩატარებული ქალთა ეროვნულ პარლამენტებში წარმომადგენლობის რეიტინგის შესაბამისად საქართველო 190 ქვეყნიდან 123 ადგილს იკავებს (საპარლამენტო შორისო კავშირი, 2017ა).

ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ქალთა წარმომადგენლობა ასევე ძალიან დაბალია. 2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში (ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში - საკრებულოში) ქალებმა ადგილების მხოლოდ 11%-ის მოპოვება შეძლეს, ისევე როგორც 2010 წლის არჩევნებში (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება). აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის გამონაკლისი, როდესაც საქმე ეხება გენდერულ ბალანსს; საქართველოში ქალი მერები არ არიან, და 69 გამგებელიდან (ადგილობრივი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელმძღვანელები) მხოლოდ ორია ქალი, ხოლო მინისტრთა კაბინეტის 19 წევრს შორის მხოლოდ 3 ქალია.

საქართველოს მთავრობამ სცადა არჩევით ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის მხრივ არსებული ვითარების გაუმჯობესება და 2011 წელს ფინანსური წახალისების მექანიზმი დანერგა. “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული იყო პარტიების დაფინანსების 10%-ით გაზრდა პარტიის სიაში შეტანილ ყოველ 10 კანდიდატს შორის 2 ქალი კანდიდატის დასახელების შემთხვევაში. ამჟამად კანონი ადგენს: „პარტია, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს საბაზო დაფინანსებაზე დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ ამ პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის მიერ იმ არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში), რომლის შედეგების საფუძველზედაც მიიღო დაფინანსება, კანდიდატთა პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30%-ით“⁵⁶.

ამ ინიციატივის ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ მმართველი პარტიები მას არ ახორციელებენ, რის გამოც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა დაბალია, რაც სავალდებულო საკანონმდებლო პარტიული კვოტების დადგენის ლობირებისა და ადვოკატირების აუცილებლობას ქმნის. ამჟამად ქალთა ორგანიზაციები და აქტივისტები აქტიურად ლობირებენ გენდერული კვოტების მიღებას არჩევით ორგანოებთან დაკავშირებით (პატარია 2015).

ქალთა სოციალური ცხოვრება

სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობის თვალსაზრისით, ყველა ქალს არა აქვს იმის შესაძლებლობა თავად აარჩიოს, თუ რის გაკეთება სურს. ოჯახში ძალადობის კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა მესამედზე მეტმა (36%) განაცხადა, რომ გამოცდილი აქვთ მეუღლის ან პარტნიორის მხრიდან მათი ქცევის კონტროლზე მიმართული ქმედებები (ჩიტაშვილი და სხვები, და 2010 წ.).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ უმუშევრობის შესახებ წარმოებულ ოფიციალური მონაცემებთან შედარებით, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანების ბევრად უფრო მაღალი რაოდენობა მიიჩნევდა თავს უმუშევრად, კერძოდ, ქალების 75% და მამაკაცთა 59%. უმუშევარი ქალების 18% აღიარებს, რომ მათთვის რთულია საოჯახო მოვალეობებისა და სამუშაოს შეთავსება, რის გამოც მათ ისეთ სამუშაოზე, რომელიც სახლის დატოვებასთანაა დაკავშირებული, უარი თქვენ. უფრო მეტ ქალს, ვიდრე მამაკაცს, არ სურს მუშაობა, ანუ, ქალების 25%-ს, მამაკაცების 19%-თან შედარებით (UNDP 2013: 28).

ქართულ საზოგადოებაში გენდერული უთანასწორობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს სქესის შერჩევის მიზნით აბორტების პრაქტიკა, და მდებარეობითი ნაყოფის შემთხვევაში აბორტისთვის მიმართვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, განსაკუთრებით კავკასიაში, ბიჭების შობადობის მაჩვენებელი გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ნორმალური სქესთა თანაფარდობა დაბადებისას 105-ია, საქართველოში ეს მაჩვენებელი 111.8-ს შეადგენს, იმის გამო, რომ უფრო მეტი მამრობითი სქესის ბავშვი იბადება (UNFPA 2015: 2). ქალების 9%, რომლებიც თავიანთ ქმრებთან ერთად ცხოვრობენ, აცხადებენ, რომ მათ უფიქრიათ აბორტზე მხოლოდ სქესის შერჩევის მიზნით (UNFPA 2014b: 18).

საქართველოში ბავშვთა ქორწინების პრაქტიკა არსებობს. 2012 წელს 30 412 ქორწინებიდან პატარძლების 14%-ი ასაკი 16-დან და 19 წლამდე იყო (UNFPA 2014a: 9), თუმცა აღსანიშნავია, რომ 16 წლამდე ასაკის პირების ქორწინების რეგისტრირება არ ხდება, რადგან ეს არ არის ნებადართული საქართველოს კანონმდებლობით. 2012 წელს, 15 წლის ასაკის დედებმა 114 ბავშვი გააჩინეს, ხოლო 15 წელზე ნაკლები ასაკის დედებმა 26 ბავშვი გააჩინეს. 2012 წელს 15-დან 19

56 საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, მუხლი 30(71), ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/28324, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

წლამდე ასაკის მოზარდი დედების მიერ გაჩენილი ბავშვები დაბადებულთა დაახლოებით 10%-ს შეადგენდნენ (UNFPA 2014a: 9). ადრეულ ასაკში ქორწინება საქართველოში ყველა ქორწინების დაახლოებით 17%-ს შეადგენს (ქრისტიანსენი, 2012). სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშის თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მიღებული მონაცემებით, 7 7367 გოგონამ შეწყვიტა სწავლა საბაზისო განათლების საფეხურის დასრულებამდე, ანუ მე-7 კლასიდან მე-9 კლასების პერიოდში (სახალხო დამცველის აპარატი 2012: 394-7); ზოგიერთი შემთხვევა უშუალოდ უკავშირდება ადრეულ ქორწინებებს, ან მშობლების შიშს, რომ მათი ქალიშვილები ქორწინების მიზნით გაიტაცებდნენ.

ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის (ECMI) შეფასებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების სოციალური ჩართულობის დონე დაბალია. ამ ჯგუფის წარმომადგენელი ქალების ძალიან მცირე რაოდენობას გააჩნია არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება. ამ ქალების ძირითადი სოციალური საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობასთან, მათ შორის ბავშვთა საქმიანობებთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართულობასთან (ECMI 2014: 37).

ქალთა ცნობიერების დონე მათი უფლებების შესახებ

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმა მხოლოდ ზედაპირულად მოიცავს ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის თემებს. 2011-2012 წლების ეროვნული ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერი, გენდერული თანასწორობა ან სქესთა შორის თანასწორობა არ არის ნახსენები; ასევე არ არის ნახსენები ქალთა უფლებები (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2014). საქართველოში სასკოლო განათლების სისტემა, ანუ ცხრაკლასიანი დანყებით და საშუალო სასკოლო სავალდებულო განათლება, არ აწვდის მოსწავლეებს ადამიანის უფლებათა შესახებ სიღრმისეულ ცოდნას, და გოგონებს არ ასწავლიან მათი კონკრეტული უფლებების და კონკრეტული გამონწვევების შესახებ, რომელთა წინაშე ისინი შეიძლება დადგნენ მათი ცხოვრების განმავლობაში. საქართველოს საშუალო განათლების დონეზე მოსწავლეებს არ სთავაზობენ სქესობრივ განათლებას.

ოჯახში ძალადობის შესახებ 2010 წელს ჩატარებული ეროვნული კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ქალებს არ გააჩნიათ ძალადობის სხვა ფორმების შესახებ ცოდნა, გარდა ფიზიკური ძალადობისა, და ძალიან მცირე რაოდენობის ქალებმა აღიარეს, რომ ისინი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდნენ, ხოლო მომსახურების მიმწოდებლებთან ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ ფიზიკურ ძალადობას ჩვეულებრივ, თან ახლავს სექსუალური ძალადობის (ჩიტაშვილი და სხვ. 2010).

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ უმცირესობების წარმომადგენელი ქალები სახელმწიფო ენის ცუდი ცოდნის გამო დამატებით პრობლემებს აწყდებიან. საქართველოში უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ქალები არიან სომეხი, აზერბაიჯანი, დუხობორი, თურქი მესხები და ბოშა ქალები (ECMI 2014: 34).

3. მართლმსაჯულების სისტემის გენდერულ ასპექტზე რეაგირება

იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა

იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი აწესრიგებს დამოუკიდებელი ორგანოს - საჯარო სამართლის იურიდიული პირის იურიდიული დახმარების სამსახურის ფუნქციონირებას, რომელიც შედგება ცენტრალური ოფისისგან, იურიდიული დახმარების ბიუროსგან (LAB) და საკონსულტაციო ცენტრებისგან⁵⁷. იურიდიული დახმარების ბიუროები საქართველოს 11 რეგიონშია წარმოდგენილი. იმ მოშორებულ ადგილებში, სადაც იურიდიული დახმარების ბიუროები არ არსებობს, საკონსულტაციო ცენტრები უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი

⁵⁷ საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, მუხლი 8, ხელმისაწვდომია: http://www.legalaid.ge/cms/site_images/FOI/Primary%20Legal%20Acts/Law%20on%20legal%20Aid_ENG%202015_matsne.pdf, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

ადვოკატის ჩართვას საქმის წარმოებაში. იურიდიულ დახმარებას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ადვოკატი, რომელიც იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატია, ან რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატია⁵⁸.

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს შემდეგ მომსახურებას: სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა, როგორცაა განცხადება, სარჩელი, საჩივარი, შესაგებელი, შუამდგომლობა და სხვა დოკუმენტები; ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და გამართლებულის ინტერესების დაცვას სისხლის სამართლის პროცესში; დაზარალებულის დაცვას სისხლის სამართლის პროცესში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის განხორციელების შემთხვევებში; წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით⁵⁹. იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია ბრალდებული, მსჯავრდებული ან/და გამართლებული პირებისთვის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების ფარგლებში და საქმის მნიშვნელობისა და სირთულიდან გამომდინარე⁶⁰; ამავე დროს, იურიდიული დოკუმენტების შედგენისას იურიდიული დახმარების განწვევა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე ხდება, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის მიუხედავად⁶¹. იურიდიული დახმარების სამსახური უფასო იურიდიულ დახმარებას მხოლოდ გადახდისუუნარო პირებს სთავაზობს. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება იმ პირისთვის იურიდიული დახმარების განწვევის შესახებ, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, მაგრამ სოციო-ეკონომიკური პირობების გამო არ გააჩნია სახსრები ადვოკატის დასაქირავებლად⁶².

საქართველოს მთავრობის განსაზღვრების შესაბამისად, გადახდისუუნარიანო პირი, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახის წევრია. საქართველოს მთავრობის შესაბამისი რეზოლუციის თანახმად⁶³:

- ▶ სოციალურად დაუცველი ადამიანი მიიჩნევა გადახდისუუნაროდ, თუ მისი რეიტინგი 70 000 ან ნაკლებ ქულას შეადგენს;
- ▶ სოციალურად დაუცველი ადამიანი ასევე მიიჩნევა გადახდისუუნაროდ, თუ მას აქვს 100 000 ან ნაკლები ქულა და ეკუთვნის ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე კატეგორიას:
 - მრავალშვილიანი ოჯახის წევრი: 18 წლამდე ასაკის 3 ან მეტი შვილი;
 - ომის ან შეიარაღებული ძალების ვეტერანი;
 - 18 წლამდე შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირი;
 - ზრდასრული, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული ან სერიოზული უნარშეზღუდულობის მქონე პირის სტატუსი გააჩნია;
 - მკაფიო, მნიშვნელოვანი ან ზომიერი შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირი, თუ ეს შებლუდული შესაძლებლობები მას ბავშვობიდან აღენიშნება;
 - 18 წლამდე ობოლი;
 - საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დევნილი პირი.

უნდა აღინიშნოს, რომ გადახდისუუნარობის დადგენა განისაზღვრება ოჯახური შემოსავლის მიხედვით. ამან შეიძლება შექმნას პრობლემები იმ ქალებისათვის, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი, ან არ გააჩნიათ წვდომა ოჯახის ფინანსური რესურსებისადმი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ქალს კონფლიქტი აქვს ოჯახის მარჩენალთან, ან მასთან განქორწინების პროცესშია.

58 იქვე მუხლი 2

59 იქვე მუხლი 3

60 იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://www.legalaid.ge/index.php?action=page&p_id=290&lang=eng, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

61 იქვე მუხლი 5

62 იქვე, ასევე იხილეთ იურიდიული დახმარების საბჭოს 2014 წლის 11 ივლისის N10 დადგენილება.

63 საქართველოს მთავრობის N424 დადგენილება

ამასთანავე, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ შემოთავაზებული სავალდებულო დაცვა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს დაქირავებული ადვოკატი, და როდესაც⁶⁴:

- ▶ პირი არასრულწლოვანია;
- ▶ თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
- ▶ თუ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;
- ▶ თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
- ▶ თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
- ▶ თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
- ▶ თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
- ▶ თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
- ▶ თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
- ▶ თუ არაიდენტიფიცირებული პირია;

ცხრილში 3.3 და 3.4 შეჯამებულია სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ 2014 და 2015 წლებში საქმეებთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.

ცხრილი 3: იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ 2014 წელს განეულ იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებული სტატისტიკა, ჩამოთვლილი სქესის მიხედვით

განეული იურიდიული დახმარების სახე	ქალები	მამაკაცები
კონსულტაციები	8 263	6 047
იურიდიული დახმარება სისხლის სამართლის საქმეებზე	527	7 663

2015 წლიდან იურიდიული დახმარების სამსახური ასევე უზრუნველყოფდა იურიდიულ კონსულტაციებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, და ანარმოებდა სტატისტიკური მონაცემების უფრო სრულყოფილ შეგროვებას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა უფრო დეტალური ინფორმაციის წარდგენა, მსგავსად ქვემოთ მოცემული ცხრილისა.

ცხრილი 4: იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ 2015 წელს (იანვარი-აგვისტო) განეულ იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებული სტატისტიკა, ჩამოთვლილი სქესის მიხედვით

განეული იურიდიული დახმარების სახე	ქალები	მამაკაცები
კონსულტაციები	4 902	3 584
ადმინისტრაციული საქმეები	15	4
სამოქალაქო საქმეები	137	154
ოჯახში ძალადობის საქმეები	13	88
ქონებასთან დაკავშირებული დავები	3	1
მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავები	6	1
ალიმენტი	9	3
განქორწინება	2	0

⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 45, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/90034, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

2015 წელს იურიდიული დახმარების სამსახურს არ გაუწევია იურიდიული დახმარება დისკრიმინაციის შემთხვევებთან დაკავშირებით⁶⁵. ასევე, იურიდიული დახმარების სამსახურს არ მიუღია მონაწილეობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საქმეებში⁶⁶. 2015 წელს იმ ბენეფიციარებს შორის, რომლებმაც მიიღეს იურიდიული კონსულტაციები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით, 60% ქალები იყვნენ⁶⁷. ის ფაქტი, რომ ქალებთან შედარებით უფრო მეტი მამაკაცი იღებს იურიდიულ დახმარებას ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, განპირობებულია იურიდიული დახმარების მიღების უფლებით, რაც კანონითაა გარანტირებული ბრალდებულისთვის, და არა დაზარალებულისთვის. დაზარალებული არ არის სისხლის სამართალწარმოების მხარე.

სასამართლოების ხელმისაწვდომობა

საქართველოს სამი ინსტანციისგან შემდგარი საერთო სასამართლოების სისტემა გააჩნია: 26 საქალაქო სასამართლო, 2 სააპელაციო სასამართლო და 1 უზენაესი სასამართლო (საკასაციო).⁶⁸ საქალაქო სასამართლოები დაფუძნებულია საქართველოს ყველა რეგიონში; სააპელაციო სასამართლოები ქუთაისში (დასავლეთ საქართველო) და თბილისშია წარმოდგენილი (აღმოსავლეთ საქართველო).

ქვეყნის ცუდი ეკონომიკური მდგომარეობის, ისევე როგორც ეკონომიკური უთანასწორობის გათვალისწინებით, რომელიც ძირითადად ქალებზე აისახება, სასამართლო ხარჯები შეიძლება წარმოადგენდეს ბარიერს ქალებისთვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. საფასური რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. 39-ე მუხლი ადგენს, რომ დაწესებული გადასახადი შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3 %-ს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა. არა-ფულადი დავების შემთხვევაში გადასახადი 100 ლარს შეადგენს, სააპელაციო სასამართლოში წარმოების შემთხვევაში 150 ლარს, ხოლო საკასაციო სასამართლოში წარმოების შემთხვევაში 300 ლარს.⁶⁹ კანონი ითვალისწინებს რამდენიმე შემთხვევას, როდესაც მომჩივანი განთავისუფლებულია ამ გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან:

- ▶ ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე;
- ▶ დასახირებით ან ჯანმრთელობის სხვა დამიანებით, აგრეთვე მარჩინალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე;
- ▶ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე;
- ▶ არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე;
- ▶ სოციალურად დაუცველი პირების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული პირები;
- ▶ არამართლობიერად გადაადგილებული ან არამართლობიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე⁷⁰

კანონი ასევე ითვალისწინებს სასამართლოს უფლებას სასამართლო გადასახადისგან განთავისუფლების შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება ყოველი ცალკეული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, თუ განმცხადებელი სასამართლოს დაუმტკიცებს ამ გადასახადის გადახდისთვის საჭირო სახსრების უქონლობას⁷¹.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელებზე.⁷²

65 ინფორმაცია მიღებული იქნა 2015 წლის 18 აგვისტოს იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსის მოადგილის, ირაკლი მონიასთან გასაუბრების შედეგად.

66 იურიდიული დახმარების სამსახური, 2015 წლის შესრულების ანგარიში, გვ. 20.

67 იქვე, გვ. 21.

68 საქართველოს სასამართლო სისტემის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://court.ge/geo_courts, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

69 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 39.

70 იქვე, მუხლი 46.

71 იქვე, მუხლი 47.

72 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 9.

ქალების სასამართლოსთვის მიმართვა

საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან მიღებული ოფიციალური წერილის თანახმად, საერთო სასამართლოების სისტემა არ აწარმოებს დავების მხარეების სქესის მიხედვით დესაგრეგირებულ მონაცემებს. ამიტომ შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენმა ქალმა მიმართა სასამართლოს.⁷³

ამასთანავე, გემოსხეხებული წერილი ადასტურებს, რომ სასამართლოები გარკვეულ დავებთან დაკავშირებით აგროვებენ ინფორმაციას, და არა ყველა დავასთან დაკავშირებით. მაგალითად, სასამართლოებს არ აქვთ ინფორმაცია იმ დავების შესახებ, რომლებიც 1152 მუხლის ფარგლებში ხვდებიან (მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა), მაგრამ აგროვებენ ინფორმაციას განქორწინების საქმეებზე (2013 წელს 2 498 საქმე, 2014 წელს 2 391 საქმე).

სასამართლომ ასევე ოჯახში ძალადობის შემთხვევებში დამცავი და შემაკავებელი ორდერის გაცემის შესახებ ინფორმაცია წარადგინა⁷⁴. ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალს შეუძლია მოითხოვოს დამცავი ორდერის გაცემა სასამართლოდან, ხოლო შემაკავებელი ორდერები პოლიციის მიერ გაიცემა, და მათ სასამართლო ამტკიცებს⁷⁵. ცხრილში 3.5 ასახულია დინამიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ დამცავი ორდერების გაცემის შესახებ მოთხოვნების რაოდენობა თანდათანობით გაიზარდა, ხოლო შემაკავებელ ორდერების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რაც უკავშირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ოჯახში ძალადობის მიმართ პოლიტიკის გამკაცრებას.

ცხრილი 5: ოჯახში ძალადობის შემთხვევაში გაცემული დამცავი ორდერების, 2013-2015

	2013		2014		2015	
	გაცემული	უარი ეთქვა	გაცემული	უარი ეთქვა	გაცემული	უარი ეთქვა
დამცავი ორდერების გაცემა	57	3	92	10	76	6
შემაკავებელი ორდერების დამტკიცება	241	8	945	30	1 410	53

სამართალდამცავი და სასამართლო სისტემისადმი ნდობის ნაკლებობა

სხვადასხვა კვლევები ცხადყოფს, რომ პოლიციისა და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის ნაკლებობაა. მართლმსაჯულების მიმართ დამოკიდებულების კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველო პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტებისადმი, განსაკუთრებით კი, სასამართლო სისტემისადმი ნდობა ყველაზე დაბალია. 2014 წელს გამოკითხულთა 37%-მა განაცხადა, რომ ისინი “სრულად ენდობიან” ან “ნაწილობრივ ენდობიან” სასამართლოებს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2011 წელს 32% -ს შეადგენდა (CRRC-Georgia 2014a: 36). იმავე კვლევამ აჩვენა, რომ პოლიციის მიმართ ნდობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, კერძოდ, ეს მაჩვენებელი 78%-ს შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ადამიანების დამოკიდებულება, რომლებმაც სასამართლოს მომსახურებით ისარგებლეს, უფრო პოზიტიურისკენ შეიცვალა, სასამართლოების მომსახურების ხარისხის კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 44%-ის დამოკიდებულება სასამართლო ხელისუფლებისადმი, რომლებმაც სასამართლოს მომსახურებით ისარგებლეს, უფრო პოზიტიური გახდა, ხოლო გამოკითხულთა 36%-მა განაცხადა, რომ მათი დამოკიდებულება არ შეცვლილა, რადგან ისინი პოზიტიურად იყვნენ განწყობილი სასამართლოს მომსახურების მიღებამდე⁷⁶.

ოჯახში ძალადობის შესახებ კიდევ ერთი კვლევა პოლიციისადმი ნდობის შესახებ განსხვავებულ სურათს იძლევა. ოჯახში ძალადობის შემთხვევებში პოლიციელების შეუტყობინებლობის მიზეზებს

73 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური წერილი No. გვ-167-15, დათარიღებული 2015 წლის 5 ოქტომბრით.

74 იქვე

75 საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ, მუხლი 3, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/26422?impose=translateEn, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

76 სასამართლო მომსახურების ხარისხის კვლევა, კლიენტების კმაყოფილების დონე, 2014, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2014-wlis-kvleva.pdf>, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

შორის დასახელდა ნდობის ნაკლებობა (გამოკითხულთა 52%) (სუმბაძე 2014: 47). იმავე კვლევაში რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ოჯახის წევრებთან საუბარს ამჯობინებდა. განქორწინებას ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სათანადო რეაგირებად მიიჩნევდა 79%, ხოლო გამოკითხულთა 62%-ის აზრით, სათანადო რეაგირება იქნებოდა პოლიციის გამოძახება; 65%-ის აზრით ადვოკატის დაქირავება იქნებოდა სათანადო რეაგირება (სუმბაძე 2014: 44). რესპონდენტების აზრით, ისინი თავს შეიკავებდნენ პოლიციაში დარეკვისგან სირცხვილის შეგრძნების გამო (91%) და უფრო მეტი ძალადობის შიშის გამო (90%). კვლევა ასკვნის, რომ რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა არ მიიჩნევდა, რომ პოლიციის მხრიდან დაცვა ეფექტური იქნება ოჯახში ძალადობის (სუმბაძე 2014: 46).

2014 წლის გენდერული კვლევიდან გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა 72%-ის აზრით ოჯახში ძალადობის შემთხვევებში პოლიცია და სასამართლოები უნდა ჩაერიონ; მეორე მხრივ, გამოკითხულთა 39% მიიჩნევს, რომ ოჯახში ფიზიკური ძალადობის შემთხვევები უნდა მოგვარდეს ოჯახის შიგნით, ხოლო 64% იგივეს ფიქრობს, არა-ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში (CCRC-Georgia 2014b: 26-7).

ქალები სასამართლო სისტემაში

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) მონაცემებით, საქართველო რანჟირების მიხედვით ევროპის საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე ბოლო პოზიციებზე მდგომი ქვეყანაა საქალაქო სასამართლოების ქალი თავმჯდომარების რაოდენობის მიხედვით (7%), და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარების რაოდენობის მიხედვით (არცერთი) (ევროპის საბჭო, მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, 2014: 330). ამჟამად 16 მოსამართლიდან 6 მოსამართლე ქალია, და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ქალია⁷⁷. CEPEJ-ის თანახმად, საქართველოში მოსამართლეთა 43% ქალია (ევროპის საბჭო, მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, 2014: 327).

ამჟამად სასამართლო სისტემაში 1 080 ქალია დასაქმებული, საიდანაც 128 მოსამართლეა, და 42 სამენეჯერო პოზიციაზეა წარმოდგენილი.⁷⁸

გენდერული მიკერძოებულობა იურიდიულ პროფესიაში

მოსამართლეები

მოსამართლეთა გენდერული მიკერძოების განხილვისთვის, უნდა გაანალიზდეს სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და კანონის გამოყენება. ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც ცხადყოფს, თუ რამდენად არ ხდება შესაბამისი კანონმდებლობის გამოყენება, არის სამოქალაქო კოდექსის 1153-ე მუხლი, ოჯახში ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ არც ერთ საქმეში არ არის ნახსენები 1153 მუხლი. რაც შეეხება 1152-ე მუხლს - მეუღლეთა თანასწორობა, იგი გამოყენებული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ შვიდი საქმეზე. ერთი საქმე ეხება ალიმენტს, ხოლო დანარჩენი საქმეები ეხება მეუღლეების მიერ ქორწინებაში შექმნილ ქონებას.⁷⁹ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მუხლი 1152 გამოიყენება სხვა მუხლებთან ერთობლიობაში, როგორცაა 1158-ე მუხლი - მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება, და 1159-ე და 1160-ე მუხლები მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების ურთიერთშეთანხმებით განკარგვასთან დაკავშირებით.

პოლიცია

კანონმდებლობის განხორციელება დამოკიდებულია არა მარტო არსებულ მექანიზმებზე, არამედ სამართალდამცავებისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა დამოკიდებულებებსა

⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/eng/judges/judges>, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

⁷⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური წერილი No. გვ-167-15, დათარიღებული 2015 წლის 5 ოქტომბრით.

⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრეცედენტული სამართლის ძიების სისტემა, ხელმისაწვდომია: prg.supremecourt.ge, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

და აღქმებზე. მიუხედავად იმისა, რომ კვლევების თანახმად, ოჯახში ძალადობა საქართველოში ფართოდ გავრცელებული დანაშაულია, სტატისტიკა განსხვავებულ სურათს აჩვენებს. მაგალითად, 2013 წლისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკას თუ გავეცნობით, დავინახავთ, რომ 5 447 შემთხვევაში ადამიანები დახმარებას ითხოვდნენ ოჯახში კონფლიქტთან დაკავშირებით პოლიციის ცხელი ხაზით, გამოდიება დაიწყო 300-ზე მეტ საქმეზე, და მხოლოდ 212 შემთხვევაში განხორციელდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიმართ დამცავი ორდერის გაცემის ადმინისტრაციული პროცედურა.⁸⁰ გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში ბევრი ადამიანი ოჯახში ძალადობას მოიაზრებს როგორც კერძო საკითხს, და ცდილობენ ეს პრობლემა ოჯახის შიგნით მოაგვარონ, და თავის იკავებენ პოლიციის ჩარევისგან. სამოქალაქო საზოგადოებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორი წლის განმავლობაში განხორციელებული აქტიური სოციალური კამპანიის შედეგად, პოლიციაში გადაუდებელი ზარების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა, და 2015 წელს 15 910 ზარი შეადგინა (პატრიაა 2016: 3). გამოძიებების რაოდენობა გაიზარდა 949 საქმე შეადგინა, ხოლო დამცავი ორდერების რაოდენობა ათჯერ გაიზარდა და 2 726 ორდერი შეადგინა. ეს ნიშნავს, რომ ცხელი ხაზზე შესული ყველა ზარიდან, პოლიციამ შესაბამისი ზომები საქმეების მხოლოდ 15%-ში მიიღო, და ღიად რჩება კითხვა, თუ რა მოხდა დანარჩენ შემთხვევებში.

საქართველოში ქალთა უფლებების შესახებ 2015 წლის UPR-ის ჩრდილოვან ანგარიშში აღნიშნულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შესაბამისად, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს აწვდიან მომსახურებას, პოლიცია ხშირად არ უზრუნველყოფს დაზარალებულებისთვის ადეკვატურ დახმარებას ოჯახში ძალადობის დანაშაულისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო; ეს ზრდის მოძალადის დაუსჯელობის განცდას და გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს ოჯახში ძალადობის უფრო მძიმე შემთხვევებს (არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია 2015: პარ. 12).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქალების უფლებების სწავლება

ქალთა უფლებების ან მასთან დაკავშირებული თემების შესახებ სწავლება ქართულ უნივერსიტეტებში ყველგან არ ხდება. არსებული მდგომარეობის ანალიზის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ეროვნული შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ 2014 წელს ჩატარებული რანჟირების საფუძველზე შერჩეული იქნა უნივერსიტეტები.⁸¹ საქართველოში 62 აკრედიტირებული უნივერსიტეტი არსებობს, საიდანაც შერჩეული იქნა პირველ ათეულში შესული ყველაზე პოპულარული უნივერსიტეტებიდან 4 უნივერსიტეტი, რომლებიც სთავაზობენ სამართლის ხარისხს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (TSU), თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (Freeuni), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (Iliuni), და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბათუმში, აჭარის რეგიონი (BSU).

გემოაღნიშნული უნივერსიტეტების სამართლის ფაკულტეტების კურიკულუმის ანალიზიდან გამომდინარე, გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა კურსების თვალსაზრისით:

- ▶ TSU: არ არსებობს შესაბამისი სამართლის ბაკალავრის კურსები⁸² ან სამართლის სამაგისტრო პროგრამა⁸³. საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხი იყო პრაქტიკული კურსი/სამართლის კლინიკა თემაზე “საერთაშორისო სტანდარტები ადამიანის ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში”.⁸⁴ გარდა ამისა, არსებობს გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ფაკულტატური კურსის სახით სთავაზობს სწავლებას ქალთა ადამიანის უფლებების სფეროში⁸⁵.

80 იხილეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: http://www.gurianews.com/view_left_wide.html?item=21121&title=ოჯახური+ძალადობის+სტატისტიკა&cat_id=74&lang=ka, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

81 ხელმისაწვდომია: <http://www.naec.ge>, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

82 TSU, სამართლის ბაკალავრის პროგრამა, ხელმისაწვდომია: http://www.tsu.ge/data/file_db/Faculty-Law-Bakalavriati/samartlis-bak-prog2012_61132.pdf, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

83 TSU, მაგისტრის ხარისხი სამართლის სფეროში, ხელმისაწვდომია: http://www.tsu.ge/data/file_db/Faculty-Law-Bakalavriati/samartlis%20samagistro%20programa%202012.pdf, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

84 TSU, მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო სამართალში, ხელმისაწვდომია: http://www.tsu.ge/data/file_db/Faculty-Law-Bakalavriati/saertashoriso%20sam%20mag%20programa.pdf, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

85 TSU, სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევაზე, ხელმისაწვდომია: https://tsu.ge/data/file_db/faculty_social_political_master/MA-%20Gender%20curriculum.pdf, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

- ▶ Freeuni: არსებობს “ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის” თემაზე ფაკულტატური კურსი სამართლის ბაკალავრის დონეზე. კურსი მოიცავს სქესისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას;⁸⁶
- ▶ Iliaini: არ არის შესაბამისი კურსი;⁸⁷
- ▶ BSU: არ არის შესაბამისი კურსი;⁸⁸

როგორც უნივერსიტეტების კურიკულუმები აჩვენებს, ქალთა უფლებები, გენდერული საკითხები და დისკრიმინაცია არ არის ის პროგრამები, რომლებსაც საქართველოს უნივერსიტეტები სთავაზობენ, თუნდაც ფაკულტატური კურსის სახით. იმის გათვალისწინებით, რომ იურიდიული განათლება გენდერულ პერსპექტივას არ ითვალისწინებს, ძნელია გენდერული ასპექტებისადმი გათვითცნობიერებულობის ამაღლება სამართლის სფეროს სპეციალისტებში მათი პროფესიული კარიერის შემდგომ ეტაპებზე.

გენდერულ საკითხებზე ტრენინგი სამართლის სფეროს სპეციალისტებისთვის

ამ ნაწილში მოცემულია ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ, როგორცაა იუსტიციის უმაღლესი სკოლა, იუსტიციის სასწავლო ცენტრი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, მოსამართლეების, პროკურორების, იურისტებისა და პოლიციელებისთვის შეთავაზებული სასწავლო კურსების მიმოხილვა:

- ▶ მოსამართლეები: მოსამართლეებს ტრენინგებს სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა სთავაზობს. 2014 წელს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში შეიმუშავა სასწავლო კურსის კურიკულუმი თემაზე “სამართლიანობის მხარდაჭერა გენდერული თანასწორობის გზით”.⁸⁹ 2014 წელს მოსამართლეებისთვის ჩატარდა ერთი საპილოტე ტრენინგი და ტრენერთა ტრენინგების ორი ტრენინგი. ტრენინგი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა გენდერული მიკერძოება, სტერეოტიპები, ძალადობა, ქალი მოსამართლეები, ლიდერობა და სხვა. იუსტიციის უმაღლესი სკოლა ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ეროვნულ ექსპერტებთან თანამშრომლობით ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით კურიკულუმს ამზადებს;
- ▶ პროკურორები: საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი პასუხისმგებელია პროკურორებისთვის ტრენინგების ორგანიზებაზე. ტრენინგები არ შეიცავს ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ შესაბამის კურსებს.⁹⁰ თუმცა, 2012 წელს ყველა პროკურორმა გაიარა ორსაათიანი ტრენინგი ოჯახში ძალადობაზე სისხლის სამართლის კოდექსით ამ ქმედების სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარების შემდეგ.
- ▶ პოლიცია: შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია სთავაზობს პოლიციელებს საბაზისო და სპეციალიზირებულ კურსებს. საბაზისო პროგრამა მოიცავს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებს (17 აკადემიური საათი). 2014 წელს პოლიციელთა 2 ჯგუფმა, ანუ 244 პოლიციელმა გაიარა ტრენინგი ოჯახში ძალადობის საკითხებზე.⁹¹ 2014 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა აკადემიამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიიღო და ბაკალავრიატისა და სამაგისტრო პროგრამებმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან აკრედიტაცია მიიღო. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ შეიმუშავა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამები სამართლის სფეროში. ორივე პროგრამა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობისა

86 Freeuni, მაგისტრის ხარისხი სამართალში, ხელმისაწვდომია: http://freeuni.edu.ge/sites/default/files/u113/LS_Curriculum_%28BL%29_2015-2016.pdf, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

87 Iliaini, ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი სამართლის სფეროში, ხელმისაწვდომია: <http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/samartlis-skola-654/programebi-656/samartlis-skolis-sabakalavro-programebi>, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

88 BSU, ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი სამართლის სფეროში, ხელმისაწვდომია: http://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_411_2.pdf, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

89 იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ოფიციალური წერილი No. 02/649, დათარიღებული 2015 წლის 17 ივნისით.

90 იუსტიციის სასწავლო ცენტრი (TCJ), ხელმისაწვდომია: <http://www.tcj.gov.ge/ka/training>, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

91 შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, ოფიციალური წერილი No. 1502823, დათარიღებული 2015 წლის 9 ივლისით.

და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით ანტიდისკრიმინაციული სამართლის სწავლებას. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია რეგულარულად ატარებს ტრენინგებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გენდერული ძალადობისა და 2014 წელს 385 პოლიციელმა გაიარა ტრენინგი.⁹²

- ▶ ადვოკატები: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგ ცენტრი პასუხისმგებელია ტრენინგების ორგანიზებასა და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფაზე საქართველოს ადვოკატებისთვის. 2013 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ტრენინგ ცენტრმა შეიმუშავა ტრენინგ მოდული “ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა, მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა”. ტრენინგები 2013-15 წლებში თბილისში, თელავსა და ზუგდიდში ჩატარდა. 2013 წელს, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, ტრენინგ ცენტრმა ჩაატარა ტრენინგი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და განახლებული ევროპის სოციალური ქარტიის შესახებ. ტრენინგის ფარგლებში ყურადღება გამახვილებული იყო დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, და გენდერსა და სქესზე, როგორც დაცულ საფუძვლებზე. ამჟამად მიმდინარეობს კასკადური ტრენინგები, რომელთა ფარგლებში უკვე 1 340 ადვოკატმა გაიარა სწავლება.⁹³

4. სამართლებრივი დაცვის საშუალებები, კარგი პრაქტიკა და რეკომენდაციები

ეროვნულ დონეზე არსებული კარგი პრაქტიკა ქალთა მართლმსაჯულებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სფეროში

აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის საპარლამენტო მიმოხილვა

2014 წელს, საქართველოს ქალთა მოძრაობამ (GWM), არაფორმალურმა საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც დაახლოებით 600 ქალი აქტივისტისგან შედგებოდა, მოამზადა პეტიცია ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით, და წარუდგინა იგი საქართველოს პარლამენტს. პეტიციაზე საპასუხოდ, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა (CRCC) შექმნა სამუშაო ჯგუფი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. პეტიციის ავტორები - GWM-ის აქტივისტები მიწვეული იყვნენ პროცესში მონაწილეობის მისაღებად. სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა პარლამენტის წევრებისგან და საქართველოს მთავრობის მაღალჩინოსნებისგან, სამი საჯარო მოსმენა ჩაატარეს. საპარლამენტო მოსმენების დროს, მინისტრის მოადგილეებმა სამუშაო ჯგუფს მიაწოდეს ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ. GWM-ს წევრებს და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს კომიტეტის სხდომებზე კითხვების დასმის შესაძლებლობა მიეცათ. 2015 წლის ივნისში სამუშაო ჯგუფმა GWM-ის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით შეიმუშავა რეკომენდაციები შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, პროკურატურისთვის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთვის (საკრებულო) და თბილისის მერიისთვის. CRCC-მ დაგეგმა წელიწადში ორ მოსმენის ჩატარება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ რეკომენდაციების შესრულების შეფასების მიზნით.⁹⁴

ქალთა მიმართ ძალადობის მწვავე პრობლემის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას საქართველოს პარლამენტში ჩატარებული საკონსულტაციო პროცესი კარგი პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ეს პროცესი ითვალისწინებდა ფართო საზოგადოების ჩართულობას, და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და დაურეგისტრირებელი

⁹² იქვე

⁹³ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგ ცენტრი, ხელმისაწვდომია, <http://edu.gba.ge/ჩვენს-შესახებ/პროექტები>, ბოლო წვდომა 2016 წლის 28 ნოემბერს.

⁹⁴ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, რეკომენდაცია No. 7574, დათარიღებული 2015 წლის 29 ივნისით.

ადამიანის უფლებათა დამცველების საინიციატივო ჯგუფების წვლილის და მონაწილეობის მნიშვნელობის აღიარებას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი

სახალხო დამცველის აპარატში გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი (GED) 2013 წელს შეიქმნა. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი ახორციელებს გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესრულების მონიტორინგს, და ასევე პასუხისმგებელია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებისა და ოჯახში ძალადობის ინციდენტების შეტყობინების ცხელი ხაზების ფუნქციონირების მონიტორინგზე. იგი განიხილავს ადამიანის უფლებათა დარღვევის საჩივრებსა და ინდივიდუალურ საქმეებს, მათ შორის სქესისა და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებს. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი ასევე ატარებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებამე მიმართულ აქტივობებს და ტრენინგებს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის. იგი აგროვებს ინფორმაციას ამ ინსტიტუტებისგან და ატარებს ხარისხობრივ კვლევებს ქალთა მიმართ ძალადობისგან დაცვის სხვადასხვა მექანიზმების ეფექტურობის შესაფასებლად. იგი ყოველწლიურად ამზადებს სპეციალურ ანგარიშებს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შესახებ, და ყურადღებას გაამახვილებს საქართველოში ქალების წინაშე არსებულ მთელ რიგ პრობლემამე, რომლებიც ხშირად ტაბუდადებულად ითვლებოდნენ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ოჯახში ძალადობის დანაშაულის ტიპოლოგიის ასახვა

როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2012 წელს გადაისინჯა და მას დაემატა ახალი მე-11 მუხლი, რომელითაც ოჯახში დანაშაულის ახალი ტიპოლოგია განისაზღვრა. ეს მუხლი ადგენს, რომ ოჯახში დანაშაული არის ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრების მიმართ ჩადენილი დანაშაული, და განსაზღვრავს თუ ვინ არის «ოჯახის წევრი». ამ მუხლის შემოღების შემდეგ შესაძლებელი გახდა ოჯახში ჩადენილი ყველა დანაშაულის შესახებ დესაგრეგირებული მონაცემების მიღება. ეს მონაცემები საქართველოში ოჯახში ძალადობის მახასიათებლების შემდგომი ანალიზის საშუალებას იძლევა.

იურიდიული დახმარების რეფორმა

თავდაპირველად, უფასო იურიდიული დახმარება მხოლოდ საქართველოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის იყო უზრუნველყოფილი სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით. 2015 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა დაიწყო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იმ პირებისთვის, ვინც უფლებამოსილი იყო ასეთი დახმარებით ესარგებლა, და აწარმოებდა დესაგრეგირებული მონაცემების შეგროვებას სამოქალაქო დავებთან დაკავშირებით. ამ რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ამ კვლევის შესაბამის ნაწილში, რომელიც იურიდიული დახმარების საკითხებს ეძღვნება.

ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მთავრობამ უნდა განახორციელოს შემდეგი:

- ▶ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ქალთა ადამიანის უფლებების შესახებ მოკლევადიანი და გრძელვადიანი საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების მეშვეობით. ქალები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ძალადობისგან დაცვის არსებული მექანიზმების და სერვისების შესახებ;

- ▶ მართლმსაჯულების სისტემის გენდერული სენსიტიურობის გაზრდა პროფესიული განვითარების პროგრამებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით;
- ▶ სასამართლო და სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი ნდობის ნაკლებობის პრობლემის გადაჭრა ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ეფექტური კამპანიების განხორციელების გზით;
- ▶ სხვადასხვა კანონებისა და პოლიტიკის გენდერული ზეგავლენის ანალიზის ჩატარება;
- ▶ გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავება სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა დაბალი მონაწილეობის დაძლევის მიზნით. ქალთა გაძლიერების მიზნით სპეციალური და დროებითი ღონისძიებების დანერგვა;
- ▶ სტერეოტიპებთან და მავნე ტრადიციებთან ბრძოლა, რომლებიც არღვევენ ქალთა უფლებებს; მიღებული უნდა იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზომები ქალთა გენდერული უთანასწორობის და ჩაგვრის პრობლემის დაძლევისთვის.
- ▶ სქესის მიხედვით დესაგრეგირებული მონაცემების შეგროვების პრაქტიკის დამკვიდრება მართლმსაჯულების სისტემაში ამ მონაცემების ანალიზის ხელშეწყობის მიზნით.

ბიბლიოგრაფია

ა. აბაშიძე (2015), “ბავშვი პატარძლების ფენომენი და მისი გავლენა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაზე“, პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა, OSGF, რიგა/თბილისი.

ბ. ბენდელანი და სხვები (2014), კვლევის ანგარიში „გენდერული დისკრიმინაცია საქართველოს შრომის ბაზარზე“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, ხელმისაწვდომია: http://css.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=93&info_id=1038, ნანახია 2016 წ. 14 დეკემბერს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/1-392, 2008.

CEDAW კომიტეტი (2014), საბოლოო დასკვნები კომბინირებულ მეოთხე და მეხუთე პერიოდულ ანგარიშებზე საქართველოს შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, ხელმისაწვდომია: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW/C/GEO/CO/4-5&Lang=En, ნანახია 2017 წლის 28 თებერვალს.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (2014), გენდერული დისკრიმინაცია საქართველოს შრომით ბაზარზე, ხელმისაწვდომია: css.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=93&info_id=1038, ნანახია 2016 წლის 28 ნოემბერს

მ. ჩიტაშვილი და სხვები (2010). “ეროვნული კვლევა საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ: საბოლოო ანგარიში“, ხელმისაწვდომია: www2.ohchr.org/english/bodies/cedaw/docs/AdvanceVersions/GeorgiaAnnexX.pdf, ნანახია 2017 წლის 28 თებერვალს.

ს. ქრისტიანსენი (2012), “ადრეული ქორწინება და გლობალური კვლევის პრიორიტეტები მოზარდთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ“, *ევროპის ჟურნალი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ*, No.76, გვ. 14-15, ხელმისაწვდომია: http://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0007/178531/Entre-Nous-76-Eng-v2.pdf, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

ევროპის საბჭო (2013), ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის, 2013-2015 წ, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804e99c7>, ნანახია 2017 წლის 28 თებერვალს.

ევროპის საბჭო, მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია (2014), ანგარიში ევროპის მართლმსაჯულების სისტემების შესახებ, 2014 წლის გამოცემა (2012 მონაცემები): მართლმსაჯულების ეფექტიანობა და ხარისხი“, ხელმისაწვდომია: http://www.coe.int/t/dghl/cooperation/cepej/evaluation/2014/Rapport_2014_en.pdf, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისია (2013), “შესაძლებლობათა კვლევა: ქალთა მართლმსაჯულებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხელმისაწვდომია:

https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680597b1eess_to_justice/GEC_2013_1_abridged_REV%20title.pdf, ნანახია 2017 წლის 28 თებერვალს.

ევროპის საბჭოს ადამიანებით ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი, GRETA (2016), ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის განხორციელების შესახებ, მეორე შეფასების რაუნდი, GRETA (2016)8, 2016 წლის 3 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168065bf89>, ნანახია 2017 წლის 28 თებერვალს.

ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი, GRECO (2010), საქართველოს შეფასების ანგარიში ინკრიმინაციის შესახებ, Greco Eval III Rep 12E, Theme I, ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/evaluations/round3/GrecoEval3\(2010\)12_Georgia_One_EN.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/evaluations/round3/GrecoEval3(2010)12_Georgia_One_EN.pdf), ნანახია 2016 წლის 28 ნოემბერს.

ლ. ჭანტურია (2000 წ.) “კომენტარები საქართველოს სამოქალაქო კოდექსისადმი”, მე-5 ტომი ხელმისაწვდომია: <http://www.scribd.com/doc/239904668/საქართველოს-სამოქალაქო-კოდექსი-კომენტარი-ნიგნი-ვ-საოხაჯო-და-მემკვიდრეობითი-სამართალი-2000>, ნანახია 2017 წლის 28 თებერვალს.

CRRC-Georgia (2014a), “სასამართლოსადმი დამოკიდებულება საქართველოში: საზოგადოების, იურიდიული სფეროს წარმომადგენლების და ბიზნესის ლიდერების შეფასება”, ხელმისაწვდომია: <http://ewmi-prolog.org/images/files/5139JLEPCRRCFinalReport2014.pdf>, ნანახია 2017 წლის 28 თებერვალს.

CRRC-Georgia (2014b), “ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობა საქართველოში”, ხელმისაწვდომია: http://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_October%202014_Gender%20poll_Public%20ENG_Final_0.pdf, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

ECMI (2014), “ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა საჭიროებების შეფასება საქართველოში”, მომზადებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაკვეთით, http://www.unwomen.org/~media/field%20office%20georgia/attachments/publications/2014/study%20on%20ethnic%20minority%20women_eng.pdf?v=1&d=20150410T190238, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

თანასწორობის კოალიცია (2015), “ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის განხორციელება”, ხელმისაწვდომია: http://www.osgf.ge/files/2015/Publication/EU-Geirgia%20Association%20Report_210x270mm.pdf, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (2013), საქართველოს მთავრობისთვის მომზადებული ანგარიში 2012 წლის 19-23 ნოემბერში საქართველოში ვიზიტის შესახებ, CPT/Inf (2013) 18, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806961e1>, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

ევროპარლამენტი (2011), “ევროპარლამენტის 2011 წლის 17 ნოემბრის დადგენილება, რომელიც შეიცავს ევროპარლამენტის რეკომენდაციებს ევროსაბჭოს, კომისიასა და EEAS-სთვის ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით”, ხელმისაწვდომია <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&lan=guage=EN&reference=P7-TA-2011-0514>, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

ევროკავშირისა და საქართველოს შორის დიალოგი და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ და სამოქმედო გეგმა (2013), ხელმისაწვდომია: migration.commission.ge/files/vlap-eng.pdf, ნანახია 2016 წლის 28 ნოემბერს

საქართველოს მთავრობა (1995), “საქართველოს კონსტიტუცია”, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/30346?impose=translateEn, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საქართველოს მთავრობა (1997), საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/31702?im-pose=translateEn, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საქართველოს მთავრობა (1984), ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216>, ნანახია 2017 წლის 28 თებერვალს

საქართველოს მთავრობა (1999), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/16426, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საქართველოს მთავრობა (2010), საქართველოს შრომის კოდექსი, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?impose=translateEn, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საქართველოს მთავრობა (2006), საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და მხარდაჭერის შესახებ, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/26422?impose=translateEn, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საქართველოს მთავრობა (2010), საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?impose=translateEn>, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საქართველოს მთავრობა (2014), საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ხელმისაწვდომია: matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?impose=translateEn, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

ადამიანის უფლებათა კომიტეტი (2014), დასკვნითი მოსაზრებები მეოთხე პერიოდულ ანგარიშზე საქართველოს შესახებ, CCPR/C/ GEO/CO/4, ხელმისაწვდომია: tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CCPR%2FC%2FGEO%2FCO%2F4&Lang=fr, ნანახია 2017 წლის 28 ნოემბერს

ადამიანის უფლებათა საბჭო (2011), სამუშაო ჯგუფის ანგარიში უნივერსალურ პერიოდულ მიმოხილვაზე, საქართველო A/ HRC/17/11/Add. 1, ხელმისაწვდომია: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G11/136/81/PDF/G1113681.pdf?OpenElement>, ნანახია 2017 წლის 28 თებერვალი

ICCPR (2014), “დასკვნითი მოსაზრებები მე-4 პერიოდულ ანგარიშზე საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CCPR%2FC%2FGEO%2FCO%2F4&Lang=fr, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საპარლამენტათმორისო კავშირი და UN Women (2014), “ქალები პოლიტიკაში: 2014”, ხელმისაწვდომია: http://www.unwomen.org/~media/headquarters/attachments/sections/library/publications/2014/wmnmap14_en%20pdf.ashx, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საპარლამენტათმორისო კავშირი, “ქალები ეროვნულ პარლამენტში” (2015), ხელმისაწვდომია: <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm>, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საპარლამენტათმორისო კავშირი, “ქალები ეროვნულ პარლამენტებში: მსოფლიო კლასიფიკაცია” (2017a), ხელმისაწვდომია: <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm>, ნანახია 2017 წლის 1 მარტს

საპარლამენტათმორისო კავშირი, “ ქალები ეროვნულ პარლამენტებში: მსოფლიო საშუალო მაჩვენებლები” (2017b), ხელმისაწვდომია: <http://www.ipu.org/wmn-e/world.htm>, ნანახია 2017 წლის 1 მარტს

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (2014), “ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში - საკრებულოებში ქალთა წარმომადგენლობა და გენდერული ბალანსი”, ხელმისაწვდომია: <http://www.isfed.ge/main/653/eng>, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

პ. მაპოუნი და ლ.მ. უილიამსი (1998), “სექსუალური ძალადობა ქორწინებაში: მეუღლის გაუპატიურების პრევალენტობა, შედეგები და პრობლემის გადაჭრის გზები”, ჯ. ლ. ჯასინსკი და ლ. მ. უილიამსი (Eds), პარტნიორის მხრიდან ძალადობა: 20 წლის კვლევის ყოვლისმომცველი მიმოხილვა, ხელმისაწვდომია: http://www.janedoe.org/site/assets/docs/Curriculum_SA_IP/Sexual_Assault_in_Marriage.pdf, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2014), 2011-2016 წლების ეროვნული კურიკულუმი, ხელმისაწვდომია: ncp.ge/en/curriculum/satesto-seqtsia/mimdinare-esg-2011-2016, ნანახია 2016 წლის 28 ნოემბერს

საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახური (2013), “ქალები და მამაკაცები საქართველოში”, თბილისი, ხელმისაწვდომია:

http://www.geostat.ge/cms/site_images/files/english/health/women%20and%20men%202013-Analytical.pdf, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია (2015), საქართველოში ქალთა ადამიანის უფლებების შესახებ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის ერთობლივად წარდგენილი ანგარიში, მეორე ციკლი, 23-ე სესია.

ბ. პატარაია (2015), ქართული პოლიტიკა ქალების გარეშე - ქვოტები როგორც პრობლემის გადაჭრის გზა, პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა, OSGF, რიგა/თბილისი

ბ. პატარაია (2016), სოციალური მუშაობა - საქართველოში არსებულ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული ხარვეზი, გვ. 2. ხელმისაწვდომია: [http://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Equality_ENG_\(5\).pdf](http://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Equality_ENG_(5).pdf), 2016 წლის 28 ნოემბერს

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (2012), საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ წლიური ანგარიში 2012, ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1350.pdf>, 2016 წლის 28 ნოემბერს

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (2013), საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ წლიური ანგარიში 2013, ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1934.pdf>, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (2015a), სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციაზე, ხელმისაწვდომია: <drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUTUdIZXd4MFJqX2s/view>, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (2015b), სპეციალური ანგარიში საქართველოში ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3361.pdf>, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

(2014), საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლოს მომსახურების ხარისხისა და მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2014-wlis-kvleva.pdf>, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

ლ. როლფესი და მ. გრაუტი (2013), საქართველოში მოსამართლეთა საკუთრების უფლებების შეფასება, ხელმისაწვდომია: http://ewmi-prolog.org/images/files/4480ENG_-_Assessment_of_Property_Rights_in_Georgia.pdf, 2017 წლის 28 თებერვალი

ნ. სუმბაძე (2014), “თბილისის, კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მიმართ აღქმისა და დამოკიდებულების კვლევა”, პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი, ხელმისაწვდომია: <http://www.unwomen.org/~media/field%20office%20georgia/attachments/publications/2014/english-study%20unjp.pdf?v=1&d=20150410T184908>, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე No. 3k/215-01, 2001 წლის 11 აპრილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე as-839-788-2010, 2011 წლის 18 იანვარი.

UNDP (2010), “საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა”, ხელმისაწვდომია: www2.ohchr.org/english/bodies/cedaw/docs/AdvanceVersions/GeorgiaAnnexX.pdf, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

UNDP (2013), “საზოგადოების აღქმა გენდერული თანასწორობის შესახებ პოლიტიკასა და ბიზნესში”, ხელმისაწვდომია: http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/public-perceptions-on-gender-equality-in-politics-and-business.html, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

UNFPA (2014a), “ბავშვთა ქორწინება საქართველოში”, მიმოხილვა, ხელმისაწვდომია: eeca.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/unfpa%20georgia%20overview.pdf, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

UNFPA (2014b), *მამაკაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში, თბილისი*, ხელმისაწვდომია: <http://en.calameo.com/books/000713529d553aaaf9682>, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

UNFPA (2015), “სქესის მიხედვით შერჩევითი აბორტების პრევენცია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, მოკლე შეჯამება, ხელმისაწვდომია: eeca.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/GBSS%20Brief_WEB.pdf, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

UN Women (2014), “ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისადმი აღქმა თბილისში, კახეთში და სამეგრელო-ზემო სვანეთში”, ხელმისაწვდომია: <http://georgia.unwomen.org/en/>

[digitallibrary/publications/2014/11/perception-of-violence-against-women-and-domestic-violence-in-tbilisi](#), ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

მსოფლიო ბანკი (2009), საქართველოში სიღარიბის შეფასების ანგარიში, No. 44400-GE', ხელმისაწვდომია: <http://documents.worldbank.org/curated/en/132471468244171912/pdf/44400ESWOP1071C0Disclosed041281091.pdf>, ნანახია 2016 წლის 14 დეკემბერს

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (2016), "გლობალური გენდერული განსხვავების ინდექსი", ხელმისაწვდომია: <https://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2016/rankings/>, 2016 წლის 28 თებერვალი



ევროპის საბჭო კონტინენტის წამყვან ადამიანის უფლებათა ორგანიზაციას წარმოადგენს. მასში განწევრიანებულია 47 წევრი სახელმწიფო, რომელთაგან 28 ევროკავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შემუშავებულ იქნას ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პასუხისმგებელია წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციის განხორციელების ზედამხედველობაზე.

www.coe.int

ევროკავშირი წარმოადგენს უნიკალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარტნიორობას ევროპის 28 დემოკრატიულ ქვეყანას შორის. მისი მიზანია მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფა მისი 500 მილიონი მოქალაქისათვის და უფრო სამართლიანი და უსაფრთხო მსოფლიოს დამკვიდრება. ამისათვის, ევროკავშირის ქვეყნებმა შექმნეს ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ევროკავშირის მართვასა და კანონმდებლობის მიღებაზე. ძირითადი ორგანოებია ევროპის პარლამენტი (წარმოადგენს ევროპის ხალხს), ევროპის საბჭო (წარმოადგენს ეროვნულ მთავრობებს) და ევროპული კომისია (წარმოადგენს ევროკავშირის საერთო ინტერესებს)

<http://europa.eu>

Partnership for Good Governance კარგი მმართველობისთვის

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ევროპის საბჭო